პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ბრძოლის ხმა

1933 წ. დეკემბერი

პარიზი

№ 38

1933 — DECEMBRE

Paris

ყოველთვიური ორგანო საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტ. ცენტრალური კომიტეტისა

«L' ECHO DE LA LUTTE» — Revue mensuelle duParti Social-Démocrate Ouvr. de Géorgie.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცეცხლის კერანი

ყველა სახელმწიფოს მეთაური და მოღვაწე დღეს ერთხმათ აღიარებს მშვიდობიანობის საჭიროებას და ომის სიძულვილს. თვით ჰიტლერიც კი ამ ჰანგზე ამღერდა და მას ბანს აძლევენ ყველა დიქტატორები.

ამავე დროს ყველა სახელმწიფო საშინელი სისწრაფით იარაღდება. საომარ ძლევამოსილებას იმრავლებს და თავიდან ფეხებამდე იარაღში ჯდება.

სიტყვა და საქმე სრულიად არ გავს ერთმანეთს, მათ შორის ძევს დიდი ზღვარი.

რაშია საქმე?

საქმეა ობიექტიურ მდგომარეობაში, სხვა და სხვა ერთა ერთიმეორეს წინააღმდეგ დაპირდაპირებაში. არის ერი ამომავალი, მზის ყურეში შესაფერი ადგილის მაძიებარი, იაპონია. არის ერი დაბმული, ასაწყვეტათ გამზადებული და აჯანყებული, გერმანია; არის კიდევ ერი პრეტენზიებით სავსე, რაღაცას მაძიებელი, ყველა ქვეყნის დამწუნებელი, იტალია; არიან ერნი კმაყოფილნი, არსებული წონასწორობის დამცველნი, საფრანგეთი, ინგლისი, და ბოლოს არის კიდევ ერთი ქვეყანა დასნეულებული, სულის კბილით დამჭერი და ყველასათვის გემრიელ ლუკმათ მიჩნეული, რუსეთი. რაკი ასე დაშორდა ერთმანეთს მათი სავალი გზები, ვის შეუძლია ცარიელი კეთილი სურვილებით ამ გაყრილი გზების თავის მოყრა და ერთი მხარისაკენ მიმართვა?

ერთა ლიგას პრეტენზია იყოს ქვეყნიერების მართველი დამარცხდა, მას გვერდები ჩაუმტვრიეს თვით მისმა მომხრეებმა. საფრანგეთმა და ინგლისმა მუსოლინის ოთხთა პაქტების მიღებით საჯაროთ ჩასცეს მას ლახვარი და აღიარეს ლიგის უილაჯობა. ჟენევიდან წასვლა იაპონია-გერმანიის და იტალიის აშკარა მტრობა ნათელ ყოფს, რომ ლიგა აღარ არის დიდ სახელმწიფოთა მომრიგებელი იარაღი და ის მხოლოდ დღეს პატარა სახელმწიფოთა ამარაა მიტოვებული. ესენი მართლა საჭიროებენ ლიგას, რომ ამით თავი დაიფარონ აშვებული გაუმაძღარი ვეშაპებიდან. მაგრამ ვინ არის ამათი ეჟვანის შემბმელი? უძლური ჟენევა კარგავს ამ შესაძლებლობას. დარჩა ისევ ძველი გზა, კერძო მოლაპარაკებისა, დიპლომატების ამუშავებისა, კაბინეტებში გამომუშავებული პლანებისა. ამ გზას დაადგა ახლა ყველა, თვით საფრანგეთიც კი. ჰიტლერთან ამ ჟამათ ყველა კარებიდან შედიან და გუშინდელი მომდურავნი ბუხართან ტკბილათ მუსაიფობენ.

ცეცხლის ორი კერაა დღეს ანთებული და ლამის მათ მთელი კაცობრიობა გამოსწვან. ამ ხანძარის ლოკალიზაცია, მეზობლისაკენ მიმართვა—საჭირბოროტო კითხვათაა გადაქცეული. პირველი კერაა—წყნარი ოკეანე, მეორე აღმოსავლეთი ევროპა, ხოლო მესამეზე ლაპარაკიც არ ღირს. იტალიის საბალკანო ზრახვები ალბანიასაც ვერ გადასწვდება. ორივე კერას შუაგულში ძევს ავათმყოფი მოსკოვი და რა გასაკვირალია ის ცდილობდეს ცეცხლის ალი არც ერთი მხრიდან მას არ მოწვდეს. ლიტვინოვის რბენა ვაშინგტონს და რომს შორის ამის მაჩვენებელია.

წყნარ ოკეანეში ძევს იაპონია, მაგრამ იქ ბატონობს ჩრდილო ამერიკა. მათ შორის არავითარი ტერიტორიალური დავა არ არსებობს, იაპონია არ მილტვის ჩამოგლიჯოს ამერიკას რომელიმე შტატი, ამერიკა არ ფიქრობს წაართვას იაპონიას რომელიმე კუნძული. მათ შორის არის მხოლოდ კომერციული შეჯიბრება, საქონლით ერთიმეორის დამარცხება. ვინ გაბატონდება ჩინეთის და რუსეთის უშველებელ ბაზარზე მათი საშუღლო საკითხია. ჩინეთის გაუთავებელ ანარქიას იაპონიამ უპასუხა მანჯუკოს შექმნით, ამერიკა დარჩა განზე. ახლა თუ რუსეთის გაუთავებელ ტირანიას მან უპასუხა ციმბირკოს შექმნით და ამერიკა კიდევ განზე დარჩა—ეს იქნება წყნარ ოკეანეში ჰეგემონიის მის მიერ დაკარგვა და იაპონიის სავსებით გაბატონება. ამის თავიდან ასაცილებლათ რუზველტმა საჩქაროთ მოიხმო ლიტვინოვი და იცნო მოსკოვი. ეს რასაკვირველია არაფერია, ერთი ნაბიჯია, ფარატინა ქაღალდია. მას უნდა მოყვეს მეორე ნაბიჯი, არსებითი, ანტიაპონური კავშირი, ამ ამომავალი ერის ორივე მხრით დაჩიხვა. შესაძლებელია კი ასეთი კარანტინი? ამერიკის ინტერესია არა კარანტინი კარანტინისათვის, არამედ ბაზრის მოპოვებისათვის. რუსეთი რომ ასეთ ბაზრს ვერ იძლევა დღევანდელ იქ გამეფებულ პირობებში—ეს საკმაოთ დაინახა და განიცადა ევროპის ყველა სახელმწიფოებმა. რუსეთი ობიექტიურათ დიდი ბაზარია, 160 მილიონი კულტურული ხალხი მოითხოვს აუარებელ დამზადებულ საქონელს. მაგრამ ამისათვის საჭიროა ამ ხალხს ქონდეს საშუალება შრომის და ნაშრომის მოხმარის, ქონდეს შეძლება მიიღოს მონაწილეობა მსოფლიო ალებ-მიცემობაში. დღეს კი ის ამას მოკლებულია. მას წართმეული აქვს შრომის თავისუფლება, ყოველივე საკუთრება და დაყმობილია ხელისუფლებისათვის. მსოფლიო ბაზრის აგენტია არა ხალხები, არამედ კრემლის ერთი მუჭა ბატონები. რუზველტი ახლა აკეთებს ბრმა ცდას, რომ ბოლოს დაინახოს ის რასაც ყველა ხედავს. მის მრავალ საშინაო ილიუზიებს ეს ერთი საგარეოც მიემატება. ამერიკის ცალი ხელი დაბმულია 15 მილიონი უმუშევარით, რომლის რიცხვი დღითი დღე მატულობს. ცხადია, წყნარი ოკეანის პრობლემის უფრო თავსატეხი და რთული პრობლემა შინ აქვს და იაპონიას ამ მხრით დიდი საფრთხე არ მოელის. ასეთ პირობაში უეჭველია ვაშინგტონი არჩევს მიმართოს მორიგებას და არა ძალას. და თუ სახეში მივიღებთ იაპონელთა ახალ პოლიტიკას, ევროპის კაპიტალის დაინტერესებას მანჯურიის საქმეებში, სადაც ფრანგთა საზოგადოება უკვე მუშაობს, ამერიკისათვის გამოსავალიც მონახულია.

ყოველ შემთხვევაში წყნარი ოკეანის საკითხი დგას მთელი თავისი სიმძიმით და მასან შეკავშირებულია იაპონიის ბედი, დაიჩიხება ის კუნძულებზე თუ საბოლაოთ დამაგრდება აზიის მატერიკზე. ეს ხაზი მაშასადამე ეკლით მოფენილია, მოულოდნელი ამბები მუდამ მოსალოდნელია.

მეორე ასეთივე ხაზია შუაგულ ევროპაში. ახლა დღესავით ნათელია, რომ გერმანელთა ერს გადაწყვეტილი აქვს გამოვიდეს ვერსალის ყმობისაგან და აღიდგინოს ძველი თავისუფლება, ძველი ძლიერება. და აი ეს გამოსვლის პროცესი როგორ მოხდება, თანდათანობით, თანხმობით და მოლაპარაკებით თუ უცებ აწყვეტით, ქმნის საშიშარ მდგომარეობას. უეჭველია ორივე მხრიდან არიან ორივე მეთოდის მომხრენი, მაგრამ ძირითადი პრობლემა ჯერ არ გადაწყვეტილა: არიან თანახმა ვერსალელები აუშვან გერმანია და გაითანასწორონ? ეს დამოკიდებულია იმაზე თუ რას უწოდებენ ჰიტლერელები თანასწორობას, თანასწორობა ომში თუ მშვიდობიანობაში? ამ ძირითადი დავის გამოკვლევა შეიძლება მხოლოდ პრაქტიკული ნაბიჯებით, ერთმანერთთან მოლაპარაკებით და საერთო ხაზების მონახვის ცდით. ამ მხრით მოხდა ერთი შესანიშნავი მოვლენა. იმ დროს როცა საფრანგეთში ყალყზე დგებოდენ, არ გაველაპარაკებით ჰიტლერს უქენვოთო, პოლონეთმა დაარღვია ეს კონცერტი და დაიწყო გერმანიასან მოლაპარაკება. ამ მაგალითს შემდეგ გაყვა თვით საფრანგეთიც; ამნაირათ დგება შესაძლებლობა მოდავეთა შორის კონტაქტის და შეთანხმების გამონახვის. ამ დიდათ სასიხარულო და სასარგებლო ნაბიჯებმა გამოიწვია პროტესტი სოციალისტ-ბოლშევიზანურ წრეებში, რომელთაც მუდამ საბჭოებზე თავსდასხმა ელანდებათ და მსოფლიო ინტერესებს კრემლის ინტერესებით ზომავენ. გამოდის რომ დასავლეთ ევროპის დაწყნარება მიუღებელია, როგორც ხაფანგი მოსკოვისათვის დაგებული—თეზა დიდი ხანია ბოლშევიკების მიერ წამოყენებული. ამ ხალხს კონფლიქტის ლოკალიზაციას ურჩევნია მსოფლიო კონფლიქტი, ოღონდ კი «ერთათ-ერთი სოციალისტური სახელმწიფო» დანგრევიდან იხსნან.

როგორც ხედავთ, შუაგული ევროპის ცეცხლის კერა დიდათ სასარგებლო ყოფილა საბჭოებისათვის და ყველა მისი დამქაშები მას უბერვენ დასავლეთისაკენ. აქ ერთიმეორეს ეჯახვის წინააღმდეგობანი პოლიტიკური, ტერიტორიალური, პარტიული და ამ კერას აღვივებენ. ბოლშევიზანებმა დიდი ხანია წამოაყენეს ლოზუნგი—რუსეთის შინაურ საქმებში ნუ ერევით, მაგრამ თვითონვე მუდამ ითხოვენ ჩარევას გერმანიის, ავსტრიის და სხვა სახელმწიფოთა შინაობაში. ცნობილია, რომ ავსტრიის დემოკრატიული კონსტიტუციის ცოტაოდენი ნაშთი კიდევ დარჩა საფრანგეთის მუდმივი ჩარევის და მოთხოვნის წყალობით. მაგრამ იგივე ხალხი ვინც ამ ჩარევას მუდამ ითხოვს ყალყზე ეგებიან როგორც ვინმე გაიფიქრებს მოსკოვისათვისაც რაიმე არა თუ კონსტიტუციური, უბრალო ადამიანური მოთხოვნილების დიპლომატიური გზით წაყენებას. ამიტომ რა გასაკვირალია, ამ მოსკოველთათვის სრულიად მიუღებელი იყოს გერმანია-ვერსალელთა შორის მშვიდობიანობის ჩამოვარდნა და ევროპის გულიდან ომის საშიშროების აღმოფხვრა. ამ გარემოებით ხელს ითბობს არა მარტო მოსკოვი, არამედ რომიც, რომლის სამაკლერო პრესტიჟი გაიზარდა და სადაც ყველა მართველები სადარბაზოთ მიისწრაფვიან, როგორც მექაში. ლიტვინოვსაც დაუქნიეს თითი და ისიც მირბის იქ. რასაკვირველია. რომის საბალკანო პლანებს ბოლო ელება იუგოსლავიის მცირე ანტანტაში გამაგრებით და ოსმალეთთან პაქტის დადებით. რაკი ეს დიდი კოზირი «დუჩეს» ხელიდან გაუვარდა, ხოლო უკოზიროთ შინაურ თამაშს ვერ გააგრძელებს, ახლა ეძებს კომპესანციას—«სამი დიქტატორის» დაკავშირებას და «დამპალი» უდიქტატორო ევროპის ჭკვაზე მოყვანას. ფაშიზმი ეს ათი წელია გვპირდება ქვეყნის შენძრევას, შეპყრობილია ნაპოლეონური განდიდებით, ხოლო ნამდვილათ კი პატარა ალბანიაც კი ლამის ხელიდან გაუსხლტეს. არა, იტალიის «ფრონტი» მოსახსენებელი არ არის, ის უბრალო საპრაპაგანდო მასალაა შინაურობაში თვალის ასახვევათ.

რჩება ცეცხლის ორი კერა და მათ უტრიალებს მთელი ქვეყანა.

ნ. ქ.

◆

მარქსიზმის კრიზისი?

არა ჩვეულებრივმა ეკონომიურმა კრიზისმა მთელი მსოფლიო მოიცო. მას ყვება შედეგათ ათეული მილიონებით ადამიანების უმუშევრათ დარჩენა. ამისავე პირმშო შვილია იდეური გარდატეხა, არევ-დარევა, საზოგადო აბნევა, პანიკა, დემოკრატიის დასუსტება, რომელსაც ბევრ უბედურობას აწერენ—და «ახალი» გზის ძებნის დროს ფაშიზმამდის მისვლა. უკვე გერმანიაში ჰიტლერიზმმა გაიმარჯვა და დაანგრია სოციალდემოკრატია, დაიშალა პარტიები.—ამის გამო ბევრი გაიძახის: «მარქსიზმი მოისპო, სოციალიზმი მოკვდა!» მართალია ეს მტკიცება, თუ არა?

სოციალიზმი არა ერთხელ იყო დასამარებული მის მტერთა მიერ. 1849 წელში ის «გაქარწყლდა» რეიბოდის მიერ, 1871 წელში ტიერის მიერ საფრანგეთში; კიდევ 1929 წ. როცა ტრავაისტების სამინისტრო შედგა ინგლისში ალფრედ მონდი (შემდეგ ლორდი) სწერდა: «თუ რამე კი მოკვდა ჩვენს ქვეყანაში, ეს არის სოციალიზმიო», ყოველი შეგნებული ადამიანი რწმუნდება, რომ მარქსიზმის პრაქტიკულათ გამოყენება შეუძლებელიაო. მარა როგორც ვხედავთ ეს მკვდარი ვერ გამოდგა საკმაოთ მკვდრათ და დღეს მას ხელახლა და ერთხელ კიდევ ასაფლავებენ და ასაფლავებენ ყოველმხრივ ყოველგან...

ვინც ჩაუკვირდება დღევანდელ სინამდვილეს, მისთვის სოციალიზმის აუცილებლობის იდეა დღითი დღე მაგრდება. რადგან, თუ კაცობრიობას არ სურს დაიღუპოს კატასტროფიულათ თანამედროვე ცივილიზაციითურთ, მან სოციალიზმი უნდა დაიხმაროს, მის განხორციელებას ხელი უნდა შეუწყოს.

თანამედროვე საზოგადოების დღევანდელ მესაჭეთ ვერ ძალუძთ გადაწყვიტონ ის მწვავე პრობლემები, რომელიც ცხოვრებამ მათ წინ დაუყენა: ქვეყნის ეკონომიურათ მოგვარება, მისი კრიზისიდან თავის დაღწევა, მშვიდობიანობისა და განიარაღების საკითხის საჭიროდ გადაჭრა ბურჟუაზიამ ვერ შესძლო და ვერც შესძლებს: რადგან ყოველგან გამეფებულია ეროვნული ეკონომიური ეგოიზმი და ერთი მეორეს არას უთმობს. მხოლოდ სცდილობს სხვისგან მეტი მოიგოს. მხოლოდ სოც. დემოკრატიას შეეძლება რადიკალურათ უპასუხოს აქტუალურ ძნელ საკითხებს. დანარჩენების ცდა არის მხოლოდ ცდა გაკოტრებული წესწყობილების შეკეთების და «შეპაჩინკების». რომელსაც აღარ შეუძლია კიდევ დიდი ხნით არსებობა ან გამაგრება.

ისინიც კი, ვინც სოციალიზმს ებრძვიან თვით უიმისოთ ველარ სუნთქავენ, მასსებს მხოლოდ ამ სოციალისტური დაპირებებით იმხრობენ. გერმანიის ფაშისტები თავიანთ პარტიას სოციალისტურს უწოდებენ და სოციალურ რეფორმებს პირდებიან ხალხს. რადგან კარგათ იციან, რომ უამისოთ ისინი პროპაგანდას ვერ გასწევენ, ფართო მასას ვერ გადმოიპირებენ და აი, სიტყვით ატყუებენ მას, რომ ამ გზით შესძლონ ნამდვილ სოციალიზმს და სოციალ. პარტიებს შეებრძოლონ. და, როცა ფაშიზმი ძალაუფლებას ხელთ იგდებს, დაპირებებს ივიწყებს, რა თქმა უნდა და აცხადებს: «რევოლიუცია დასრულდაო», სოციალურ საკითხებს განზე აგდებს და ბურჟუაზიის მექომაგეთ გამოდის. მის მახეში ამნაირათ ბარე ორი ეხვევა. მარა ეს გარემოება (ე. ი. რასიზმის ნამდვილი სახის გამოაშკარავება) მალე თვალს აუხელს მასას, რომელიც ყოყმანის შემდეგ დაუბრუნდება სოციალიზმს უფრო მრავალრიცხოვანი.

ამას დაუმატოთ—მაგალითისთვის—რომ ამერიკის კაპიტალიზმიც გრძნობს, რომ მოძველდა მისი წესწყობილება და ის ველარ აკმაყოფილებს მოსახლეობას, ველარ უძღვება საზოგადოებრივ ეკონომიას, რომ მისი როლი თავდება, რომ ის ძლიერ მობერებულია. მარა სიკვდილი მწარეა და მას სურს გამწარებული სული აჩანჩალოს ერთხანს კიდევ და წამალს ისიც სოციალიზმიდან სესხულობს. მართლაც შეერთ. შტატების მთავრობის მიერ ამ ჟამათ მიღებული არაჩვეულებრივი ზომები რომელსაც ის მიმართავს შეიძლება ითქვას, გაბედული ნაბიჯია. ამ ზომებში მთავარი არის ის, რომ რუზველტი აიძულებს მწარმოებელთ შეამცირონ სამუშაო დღე და გაადიდონ მუშის ხელფასი, რომ ამ რიგათ ერთის მხრით—შემცირდეს უმუშევართა არმია და მეორეს მხრით გამოცოცხლდეს წარმოება და ვაჭრობა მომხმარებელის ყიდვითი საშუალების გაძლიერებით და ამ გზით კრიზისი შენელდეს. ამ ზომებს—როგორც პოლიტიკურს მართალია—სოციალისტური პარტიები მოითხოვენ თითქმის ყოველგან.

ყველა ეს ამბავი იმას ამტკიცებს, რომ კაცობრიობა—მისი მშრომელი ნაწილი განსაკუთრებით—მალე დარწმუნდება, რომ სოციალიზმის გარეშე ხსნა არ არის. დრომოჭმული კაპიტალიზმის მიერ გამოგონილი ზომები წარმოადგენს მხოლოდ უბრალო მალამოს, რომელმაც შეიძლება სატკივარი შეანელოს, მარა ავათმყოფობას ის ბოლოს ვერ მოულებს. და სნეული კაცობრიობის განსაკურნავათ საჭირო იქნება მჭრელი საშუალებანი, რომელსაც მასსა მიმართავს, როცა მას თვალი სრულიად აეხილება და გადაჭრით დაადგება სოციალიზმის განხორციელების გზას.

ანტონ ყორყოლიანი.

◆

ამხ. ნ. ნ. ჟორდანიას წერილი

(მოთავსებული იყო გაზ. «ვოზროჟდენიე»-ს № 3104-ში)

მოწ. ხელმ. ბ-ნო რედაქტორო,

გთხოვთ ამ წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენი პატივცემულ გაზეთის ფურცლებზე.

«ვოზროჟდენიე»-ს 24 ნოემბრის ნომერში მოთავსებულია ბ-ნ რენნიკოვის შენიშვნა საპანაშვიდო პოლემიკის შესახებ, რომელიც გამიმართეს მე «სოც. ვესტ.»-ის ფურცელზე. მე სრულიად ვეთანხმები ავტორს მზგავსი პოლემიკის უადგილობის შესახებ, მაგრამ აქ არაფერ შუაშია არც «სოციალისტური სოლიდარობა» და არც საერთოდ სოციალისტები. ჩემი ხანგრძლივ ცხოვრების მანძილზე მე არასოდეს მინახავს და გამიგონია, რომ რომელიმე ქვეყნის სოციალისტებს თავის თავისთვის ნება მიეცათ ურთიერთისთვის წაეყენებიათ ბრალდება იმის შესახებ, თუ ვინ ვის პანაშვიდზე დადის და ვინ ვის კუბოს აცილებს. ყველა ისინი თავსდებიან საზოგადოთ მიღებულ რიგიანობის ფარგლებში და სასაფლაოზე ცეკვა თამაშს არ მართავენ. მაგრამ არ არის წესი, რომელსაც გამონაკლისი არ ქონდეს და ამ გამონაკლისს შეადგენს ფ. დ., რომელმაც «სოც. ვესტნიკ»-ში «დამსაფლავებელ ბიუროს» განყოფილება შემოიღო, სადაც ბეჯითად შეაქვს «საპანაშვიდო საქმეთა» ყველა შემთხვევები და მათი მიხედვით არკვევს ამხანაგების პოლიტიკურ კეთილსაიმედოობას. ის, რა თქმა უნდა, მოხარული იყო თქვენი გაზეთის ქრონიკულ შეცდომით შეევსო შემოღებული განყოფილება და წამოეყენებია ჩემსა და ა. ჩხენკელის წინააღმდეგ მთელი რიგი ისეთი ბრალდებებისა, რომელთაც ყოველ წლობით უყენებენ ყველა პოლიტიკურ ტუსაღებს «ჩეკას» სარდაფებში. მე ასეთ დაბეზღებებს არ მივაქცევდი არავითარ ყურადღებას, რომ არალეგალურ პარტიის მოღვაწეთა წინააღმდეგ საზღვარ გარეთ ასე ზერელეთ წამოსროლილ ბრალდებებს არ იყენებდენ საბრალდებულო მასალათ ჩემს იქაურ თანამოაზრეთა წინააღმდეგ. თუ აქამდე «ჩეკისტები» ჩვენ ბრალს გვდებდენ «ინტერვენციაში», ახლა ფ. დ. მას დაუმატა კიდევ ორი მუხლი: თითქო მე გადავედი «თეთრ გენერალთა» ბანაკში და მზად ვარ ხელი გაუწოდო ჰიტლერს. მართალია ბოლშევიკები ამავე ცოდვებს ბრალად სდებენ რუს მენშევიკებსაც, მაგრამ «სოც. ვესტ.»-ის ბრალმდებელი, აბეზღებს რა ქართველებს, ცდილობს თავისი თავი და მისიანები დაიცოს. და თან გული მოულბოს იმ «სტალინელებს», რომლებთაგან იგი ამდენი ხანია ელის «დემოკრატიზაციას»; ჩვენ კი, რომლებსაც არ გვწამს ეგ «მანილოვშჩინა», გვაგზავნის «თეთრების» ბანაკში.

როგორც ხედავთ, ა. ჩხენკელის მიერ თქვენთვის გადმოგზავნილი ქრონიკულ შენიშვნის უარყოფა ნაკარნახევი იყო იმ მრავალი ათას ტუსაღების ინტერესებით, რომლებიც «სოვდეპიაში» იტანჯებიან, და თქვენ იგი დაბეჭდეთ. ფ. დ.-მა კი უარი განაცხადა დაებეჭდა «სოც. ვესტნიკში» ჩემი პასუხი. მას ურჩევნია ცილი დაგვწამოს, მარა პასუხი კი არ აგოს..

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა და პოლიტიკა

ორი კონგრესი.

ამ შემოდგომაზე ინგლისის მუშებს ორი კონგრესი ქონდათ, ერთი იყო ტრედუნიონების ბრაიტონში, მეორე კი მუშათა პარტიის ჰასტინგში.

ინგლისის მუშათა მოძრაობის ისტორიაში ძველ ამბათ უნდა ჩაითვალოს ის, რომ ტრედუნიონები წინეთ მთელ ყურადღებას მხოლოთ პროფესიონალური საქმეების მოგვარებას და ხელფასის მომატების საკითხს აქცევდენ.

წელს ტრედუნიონების 65 მორიგ კონგრესზე, რომელსაც 3.367.000 შეკავშირებული მუშათა 564 წარმომადგენელი დაესწრო, დიდი დრო და ენერგია პოლიტიკური საკითხების განხილვას მოხმარდა.

მთავარი პოლიტიკური საკითხი კონგრესზე ფაშიზმის და დიქტატურის წინაალმდეგ ბრძოლის საკითხი იყო. მოხსენებას ინგლისის ტრედუნიონების გენერალური მდივანი და საერთაშორისო სინდიკალური ფედერაციის თავმჯდომარე—სიტრინი აკეთებდა. ტრედუნიონების გენერალური საბჭოს სახელით მან კონგრესს წარუდგინა რეზოლიუცია, რომელშიდაც დაგმობილია ფაშისტ-რასისტული რეჟიმი და თანაგრძნობა ეცხადება ჰიტლერიზმის ყველა მსხვერპლთ. დემოკრატიის დასაცავათ და ყოველგვარ ტერორის და დიქტატურის წინაალმდეგ საბრძოლველათ რეზოლიუცია აუცილებელ საჭიროთ სთვლის პროფესიონალური, კოოპერატიული და პოლიტიკური ორგანიზაციების მოქმედების დაუყონებლივ გაერთიანებას და კოორდინაციას.

ფაშიზმის და დიქტატურის საკითხი ირჩეოდა აგრეთვე მუშათა პარტიის კონგრესზე ჰასტინგში. იქაც ერთხმათ იქნა გამოტანილი დადგენილება ბოიკოტი გამოეცხადოს ჰიტლერის გერმანიას და მიიღონ ყოველნაირი ზომები ინგლისში გერმანელი საქონლის ყიდვა-გაყიდვის შესაჩერებლათ.

თუ გვინდა ფაშიზმის ადვილათ დამარცხება. ამბობდა სიტრინი ბრაიტონში, უნდა ვეცადოთ, კომუნისტებს არ ქონდეთ არავითარი გავლენა და გასავალი ინგლისში, რადგან ერთი კომუნისტის შექმნით ჩვენ იმავე დროს ვქმნით ერთ ფაშისტსაცო.

წინეთო, განაგრძობდა სიტრინი, ჩვენ არ გვესმოდა და ყურადღებას არ ვაქცევდით ევროპიელ ამხანაგების მტკიცებას, რომ კომუნისტებს უდიდესი ზარალი და ვნება მოქონდათ სინდიკალურ ორგანიზაციებისათვის. ეხლა კი ასე ინდიფერენტულათ ვეღარ ვუყურებთ ამ საკითხს. კომუნისტური პარტია დღეს არარაობას წარმოადგენს ინგლისში, მაგრამ ამ პატარა და უჩინარ ძალასაც იმდენი ვნება და ზარალი მოაქვს მუშათა კლასისადმი გაფიცვების, თუ არჩევნების დროს, რომ მათი არარიგიანი საქციელი სამართლიანათ იწვევს აღშფოთებას ყოველივე პარტიოსან ინგლისელშიო.

კომუნისტებთან საერთო ფრონტის შესახებ კამათის დროს მუშათა მთავრობის ყოფილი წევრი მორისონი მოაგონებდა კონგრეს გერმანელ კომუნისტების მოქმედებას, როცა მათი გამთიშველი და დამქსაქსველი ტაქტიკით მათ დაასუსტეს გერმანელი პროლეტარიატი და მასზე გასამარჯვებლათ ნიადაგი მოუმზადეს და ხელი შეუწყვეს ნაციონალ სოციალისტებს. ინგლისის მუშათა კლასს აქვს ერთი მთლიანი ფრონტი, ეს არის ტრედუნიონების, კოოპერატივების და მუშათა პარტიის ერთმანეთთან მკვიდრი კავშირი, მათი სოლიდარული მოქმედება და კომუნისტებთან საერთო ფრონტს სრულიადაც არ მოითხოვს ჩვენი დღევანდელი მდგომარეობაო. კომუნისტებთან საერთო ფრონტი თითქმის ერთხმათ იქნა უარყოფილი კონგრესის მიერ.

საინტერესოა ბედი ინგლისის დამოუკიდებელ მუშათა პარტიისა, რომელმაც მისი ბოლშევიზანობის გამო ეს ერთი წელია ლაბურ პარტიის რიგები მიატოვა, ცალკე ორგანიზაცია დაარსა და ამ ხნის განმავლობაში კომუნისტებთან საერთო ფრონტის პოლიტიკას აწარმოებდა. დღეს უკვე ამ პარტიის ყველა გულწრფელ წევრთათვის აშკარაა, რომ კომუნისტები მათ მიმართ მანიოვრებს ახდენენ და მათი ჩაყლაპვა სურთ. ამ ორი თვის წინეთ დამოუკიდებლების გენერალურ მდივანმა პატონმა და აგრეთვე მათმა ხაზინადარმა ჯოვეტმა. პარტიის ამ უხუცესმა და მეტათ დამსახურებულმა პირმა ბოლშევიზანურ პოლიტიკის წინაალმდეგ პროტესტი განაცხადეს და პარტიიდან გავიდენ. კომუნისტებთან საერთო ფრონტის აბსოლუტურათ წინაალმდეგი არიან აგრეთვე დამოუკიდებლების ლანკაშირის, შოტლანდიის, მანჩესტერის და ბირმინგამის სექციები და კომუნისტებთან ისინი ეხლა ყოველგვარ კავშირს წყვეტენ. ეჭვი არ არის, რომ ამათი უმრავლესობა მალე ლაბურ პარტიას უკან დაუბრუნდება და დამოუკიდებლების ჯგუფიც არარაობათ გახდება.

მუშათა პარტიის ეკზეკუტივის სახელით ჰასტინგის კონგრესზე მოხსენებას საერთაშორისო ეკონომიურ კრიზისის შესახებ გრინვუდი აკეთებდა. ის ხაზს უსვამდა კაპიტალისტური რეჟიმის შინაგან წინაალმდეგობებს და დაასკვნიდა, რომ ამ რეჟიმის ფარგლებში მისი წინაალმდეგობათა დაძლევა შეუძლებელია, რომ ეს მოსახერხებელი იქნება მხოლოთ ახალი წესწყობილების, სოციალიზმის დამყარებით.

უმუშევრობასთან საბრძოლველათ გრინვუდი წინადადებას იძლეოდა, რომ ახალგაზდობა დარჩენილიყო სასწავლებლებში 16 წლამდე და ამ წლოვანების უფრო ადრე მას უფლება არ მისცემოდა სამუშაოთ გასულიყო; 60 წლის შესრულებისას კი მუშები პენსიაში გასულიყვნენ. ორივე წინადადება კონგრესის მიერ მიღებულ იქნა.

მუშათა პარტიის მემარცხნე ფრთის წარმომადგენელმა—კრიპსმა შეიტანა რეზოლიუცია, რომლითაც მუშათა პარტიის მომავალ მთავრობას ევალება დაუყონებლივ ცხოვრებაში გაატაროს შემდეგი ზომები: 1) ლორდთა პალატის გაუქმება, 2) გაყვანა კანონისა, რომლითაც მთავრობას მიეცემა სრული უფლებები ხელთ იგდოს და განაგოს «ფინანსიური მექანიზმი» სოციალიზაციის საჩქაროთ განსახორციელებლათ, 3) პარლამენტარული მუშაობის რეფორმა იმ მიმართულებით, რომ სოციალიზმის დამყარება შესაძლებელი შეიქნას კონსტიტუციონალური გზით და თავიდან აცილებულ იქნას ტერორი და დიქტატურა, 4) გატარებულ იქნას წარმოების და ვაჭრობის ეკონომიური გეგმა უმუშევრობის და სიღატაკის მოსპობით.

კრებამ ერთხმათ მიიღო ეკზეკუტივის სახელით ლანსბერის განცხადება, რომ კრიპსის წინადადებები გულდასმით იქნებოდა შესწავლილი და მომავალ წელს კონგრესს მათ შესახებ ეკზეკუტივის დამუშავებული აზრი მოხსენდებოდა.

დღეს მთავრობის თავმჯდომარეს ინგლისში განსაკუთრებით დიდი უფლებები აქვს. მთავრობის თავმჯდომარის პოსტზე მეფის მიერ მოწვეული პირი თავის მინისტრების არჩევაში არავის არაფერს ეკითხება და ვინც მას მოესურვება, მათ იწვევს კაბინეტის წევრებათ. პარლამენტის დასათხოვათაც მას შეუძლია თავის კოლეგებს არ დაეკითხოს, მეფეს მხოლოთ თვითონ ურჩიოს და თავისი პირადი აზრი მას თავზე მოახვიოს. ასეთი ძველი და ტრადიციული ჩვეულებების წინაალმდეგ გაილაშქრა კრებაზე ეკზეკუტივის დავალებით მუშათა მთავრობის ყოფილ წევრმა—კლაინსმა. კონგრესმა მიიღო დადგენილება: როცა მუშათა პარტია იქნება მიწვეული მთავრობის შესადგენათ. პარტიის ნაციონალურ საბჭომ უნდა გადაწყვიტოს, თუ როგორი შემადგენლობის იქნება კაბინეტი და ვინ იქნება მისი წევრები. პარლამენტის დათხოვნის საკითხი უნდა წყდებოდეს აგრეთვე კაბინეტის წევრებთან და საპარლამენტო ფრაქციასთან თათბირის შემდეგ და მათი დასტურით.

ინგლისის მუნიციპალური და დამატებითი საპარლამენტო არჩევნები.

1931 წლის ინგლისის საპარლამენტო არჩევნებში მუშათა პარტიის დამარცხების და ამ პარტიიდან მისი ცნობილი ლიდერების—მაკდონალდის, სნოუდენის, თომასის გასვლის შემდეგ მოწინაალმდეგენი ერთხმათ გაიძახოდენ, რომ სოციალიზმის ამბავი გათავდა ინგლისში და ლაბურ პარტიას აწი იქ რაიმე პოლიტიკური როლის თამაში აღარ უწერიაო. მაგრამ მათდა სამწუხაროთ მათი სურვილი და მოლოდინი არ გამართლდა. თუ დამატებითი არჩევნებს, საერთოთ, რაიმე მნიშვნელობა კი აქვს, ის დღეს ინგლისში უთუოთ იმის მაჩვენებელია, რომ კონსერვატორები იქ თანდათან ჰკარგავენ გავლენას, მუშათა პარტიის რიგები კი დღითი დღე იზრდება და მაგრდება. ოქტომბრის დამატებითი არჩევნები ფულჰამში, სადაც ომის შემდეგ ხანებში მუდმივათ კონსერვატორებს ირჩევდენ. ამათი სასტიკი დამარცხებით დამთავრდა. 1931 წლის არჩევნებში კონსერვატორებმა იქ 23.438 ხმა მიიღეს, მუშათა დეპუტატმა კი 8.917 ხმა. ეხლა კონსერვატორებმა დაკარგეს ნახევარი მათი წინანდელი ხმებისა, მუშებმა კი გააორკეცეს მათი ხმები. მანჩესტერის და ჰარბორაუს არჩევნებში ამ უკანასკნელათ კონსერვატორებმა თუმცა ადგილები შეინარჩუნეს, მაგრამ მათი ხმების რიცხვი ძალზე შემცირდა, მუშების ხმები კი თვალსაჩინოთ გაიზარდა.

მაგრამ ყველაზე უფრო საყურადღებო ინგლისში ნოემბრის მუნიციპალური არჩევნები იყო. ამ არჩევნებში მუშათა პარტიას ერგო ისეთი გამარჯვება, რომელიც მას დღიდან მისი მუნიციპალური მოღვაწეობის დაწყებისა ჯერ არ უნახავს. საუკეთესო მის გამარჯვებათ ამ ასპარეზზე ითვლება 1929 წელი, როცა მან 149 ადგილი მოიგო ეხლა კი ინგლისის სხვა და სხვა კუთხეებში მოწინაალმდეგე პარტიებს მან 252 ადგილი წაართვა და 25 ქალაქის თვითმართველობა ხელში ჩაიგდო.

თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ მუნიციპალური არჩევნები ინგლისში მუდამ იყო საპარლამენტო არჩევნების ერთნაირი ბარომეტრი, მაშინ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ეს არჩევნები მომავალში მუშების დიდი გამარჯვებით დამთავრდება.

პ.

წერილი ჩეხოსლოვაკიიდან

გასული ოქტომბრის 27-29 ქალ. პრაღაში შესდგა ჩეხოსლოვაკიის სოც.-დემოკ. პარტიის მორიგი მე-17 ყრილობა. ყოველ სამ წელში ხდება აქ ასეთი კონგრესი (პარტია დაარსებულია 1872 წ.). პირველი მუშური პარტია თავისი მრავალრიცხოვნობით და მეორე პოლიტიკური პარტია საერთოთ რესპუბლიკაში თავისი სიდიდით იწვევს სათანადო ყურადღებას და ინტერესს ყველა სხვა დანარჩენი პოლიტიკური პარტიებისას.

ყრილობაზე მოსმენილ მოხსენებიდგან, რომელსაც წინ უძღოდა 300 გვერდიანი წიგნი ცენტრალური კომიტეტის ანგარიშით, გამოირკვა, რომ პარტიის წევრთა რიცხვს გადაუჭარბებია კომუნისტური განხეთქილების მოხდენამდის არსებულ რიცხვისთვის, და ორგანიზაციების რიცხვი ასულა 5080-დის. პარტიას აქვს 9 ყოველდღიური ორგანო, 34—კვირეული და სამი თვიური. ამ ხნის განმავლობაში პარტიაში დაბრუნებულა მთელი რიგი ორგანიზაციების ეგრეთ წოდებულ კომუნისტური ოპოზიციიდან.

პარტიაში არ არის არავითარი არც იდეიური, არც პრინციპიალური დავა და განსხვავება. ყრილობაზე ერთი ხმაც არ მოუსმენიათ პარტიის მთავარი პოლიტიკის წინაალმდეგ.

ყველა რეზოლიუციები პოლიტიკურ და ეკონომიურ საკითხებზე ყრილობამ ერთხმათ მიიღო.

კონგრესს დაესწრო უცხო პარტიების წარმომადგენელნი სხვადასხვა ქვეყნებიდან. სოციალისტურ ინტერნაციონალს წარმოადგენდა ამხ. ვან რუზბრუკი. ჩვენი პარტიიდგან ამხ. ემ. ლომთათიძე. უცხო დელეგატებმა მისალმებით მიმართეს თავ თავის პარტიების სახელით ყრილობას. გადადიოდენ რა პოლიტიკურ მომენტის დაფასებაზე—ყველა ხაზს უსვამდა ფაშიზმის საფრთხეს და დემოკრატიის გადარჩენის აუცილებლობას და უთითებდნენ საამისო საშვალებებზე. აქვე აღვნიშნავთ, რომ არც ერთს ორატორს არც შინაურს, არც უცხოს არაფერი უთქვამს არც ბოლშევიზმზე, არც კომუნისტურ ინტერნაციონალზე. აიხსნება ეს შემდეგი გარემოებით: არსათ ეხლა კომუნისტები საფრთხეს აღარ წარმოადგენენ, ზოგან სრულიათ ქრებიან, ზოგან თითქმის გაქრნენ. აქ ჩეხოსლოვაკიაში ეს სექცია გერმანიის შემდეგ იყო უდიდესი სექცია კომინტერნის. მათი გავლენა ეხლა აქ სრულიათ უმნიშვნელოა; ყოველნაირ პოლიტიკურ ანგარიშიდგან ის გამორიცხულია. მისი კადრი არის მხოლოთ კიდევ ერთი ნაწილი უმუშევრების, მაგრამ ამიერიდგან ისინიც ჩამოშორდებიან, ვინაიდგან სწორეთ იმ დროს, როცა აქ ყრილობა ხდებოდა, მოვიდა ცნობა, რომ სტალინმა გადააყენა აქაური პოლიტბიურო და მიანდო პარტიის ხელმძღვანელობა მხოლოთ ორ პირსო. ეს ცნობა ამბობს, რომ ჩეხოსლოვაკიის სექციას მოსკოვმა შეუწყვიტა ყოველნაირი სუბსიდიაო. ერთ-ერთ შენობაში თავმოყრილი იყო მთელი რიგი რაიონული ორგანიზაციების; ბინის ფასის გადაუხდელობის გამო სახლის პატრონმა ამ დღეებში ყველა ეს ორგანიზაციები გამოყარა და კერძო პირებს მიაქირავა. არ ულაპარაკიათ არაფერი არც კომინტერნზე, რადგანაც მისი პატრონი, საბჭოთა მთავრობა, მიაჩნიათ დღეს საუკეთესო მოკავშირეთ იმ ქვეყნების, რომლებიც იცავენ ვერსალის ხელშეკრულებას და რომლებმაც ასე მუხანათურათ გასცა ყველა მისი სექციები ევროპაში. ამ ერთიანობაში დისონანსი შეიტანა საქარ. ს.-დ პარტ. სახელით მოლაპარაკემ, მან მოაგონა ყრილობას მოსკოვის ბოროტება—დამოუკიდებელი დემოკ. სახელმწიფოების დაპყრობა და უდიდესი დანაშაული მათ შორის დემ. საქართველოს აოხრება; და მიუთითა მოსკოვის კომინტერნის დამრღვეველ მუშაობაზე მთელი ქვეყნის მუშათა კლასში. დელეგატები მხურვალე ტაშით შეხვდენ განცხადებას იმის შესახებ თუ როგორი სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობს საქ. სოც.-დემ. პარტიაში სოციალიზმის პატრიარქი კ. კაუცკი. ცენტრალურმა კომიტეტმა გაუმართა უცხო პარტიების დელეგატებს ვახშამი, რომელსაც განაგებდა სენატის თავმჯდომარე ფრ. სოუკუპი. მან განსაკუთრებული სიტყვით მიმართა თვითეულ დელეგატს და სხვათა შორის სთქვა: აი აქ წარმოდგენილია საქართველოს სოც.-დემოკ., ის პარტია რომლის მეთაურობით დაარსდა კავკასიაში ცარიზმის ნანგრევებზე დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოს სახელმწიფო. ამ პარტიამ ჩაუყარა საფუძველი ამ მშვენიერი დემოკრატიული ერის ეკონომიურ და კულტურულ აყვავებას; საქართველოში გაემგზავრნენ სოც. ინტერნაციონალის საუკეთესო წარმომადგენელნი: კაუცკი, ვანდერველდე, დებრუკერი, გიუსმანსი და სხ. ისინი აღფრთოვანებულნი დაბრუნდნენ ევროპაში იმით რაც საქართველოში ნახეს და მოისმინეს. თქვენ იცით რით დათავდა თავგანწირული შრომა ჩვენი ამხანაგების. დამაარსებელი საქართველოს ს.-დემ. და პირველი პრეზიდენტი რესპუბლიკის ჩვენი ჟორდანია იმყოფება ამ ჟამათ ემიგრაციაში; რამდენიმე თვის წინათ, ამერიკაში გამგზავრებამდის, მე მქონდა მასთან პარიზში სასიამოვნო შეხვედრა და საზოგადოთ გვაქვს მუდმივი ურთიერთობა ქართველ მეგობრებთან. დაგვრჩენია ვისურვოთ, რომ დამდგარიყოს მალე მომენტი საქართ. დემოკრ. რესპუბლიკის აღდგენის, რომელსაც კვლავ ჩაუდგება სათავეში მისი სოციალდემოკრატია (ტაში).

ელ.

ამხ. ნ. რამიშვილის სამი წლის თავი

კვირას, 10 დეკემბერს, ბანლიეს სასაფლაოზე, გადახდილ იქნა ამხ. ნ. რამიშვილის მოკვლის სამი წლის თავი. დანიშნულ დროს სასაფლაოზე ბლომათ თავი მოიყარა განსვენებულის ამხანაგებმა, მთავრობის წევრებმა, სხვა პარტიების და ეროვნებათა წარმომადგენლებმა. სამი წლის აღსანიშნავად ამხ. კ. გვარჯალაძემ წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა:

«სამი წელი გავიდა, რაც ნოე დავკარგეთ და ამ ფაქტს დღემდინ ვერ შევრიგებივართ და ვერ შევჩვევივართ. მისი დაკარგვით გამოწვეული ტკივილები, დროთა მსვლელობაში ალბათ თანდათან მიჩლუნგდება, მაგრამ მისი ხსოვნა კი ჩვენში სამუდამოთ რჩება.

ამხანაგები ხშირათ ვიგონებთ ნოეს. დილიდან საღამომდე ერის და პარტიის საქმეებზე მომუშავეს და მზრუნავს, დაუღალავს და თავდადებულს. შრომით, საქმიანობით იყო აღვსილ-შთანთქული მთელი მისი არსება, მისთვის არ არსებობდა პირადი ცხოვრების სიამოვნება. ერთათ ერთი მისი გასართობი და დასასვენებელი ადგილი მისი საყვარელი ოჯახი იყო. ის მხოლოთ მის ცოლშვილთან ხარობდა და მუშაობიდან გადარჩენილ მცირედ თავისუფალ დროს მხოლოდ მათ შორის ატარებდა.

ამხანაგები ხშირათ იგონებენ ნოეს, რომელიც მათ მუდამ ამხნევებდა, მათ მუდამ კარგი მომავლის იმედებს აძლევდა და ბრძოლისაკენ მოუწოდებდა. დღეს, როცა ემიგრაციაში ჩვენი ყოფნა ჯერ კიდევ გრძელდება, ნოეს მთელი ცხოვრება ყველა ჩვენთვის სამაგალითოდ და მისაბაძათ რჩება.

ბევრი თვით ნოეს მოწინაალმდეგეებიდან, სულ სხვა პარტიების და მიმართულების ხალხი, ეხლა გულწრფელათ აღიარებენ, რომ ნოეს დაკარგვით ქართულ საქმემ და ყველა ჩვენ ერთათ დავკარგეთ დიდი მამულიშვილი და პატრიოტი.

ამ სამი წლის წინ ჩვენი მეზობლები და რუსეთში მობინადრე სხვა ჩაგრულ ერთა წარმომადგენელნი ნოეს საფლავის წინაშე ერთხმათ აცხადებდენ, რომ ნ. რამიშვილი არ ეკუთვნოდა მხოლოთ ქართველებს. ის ჩვენთან ერთათ მტრის წინაალმდეგ საერთო ბრძოლას აწარმოებდა და ყველა ჩვენთვის ისეთივე მეგობარი და თანამებრძოლი იყო, როგორც ქართველებისათვისო. ეხლა კი ამას ისინი უმატებენ, რომ ნოეს დაკარგვა მათ დღემდინ ვერ აუნაზღაურდა. აღარ არის ნ. რამიშვილი ინიციატივით აღსავსე. მუდამ მომქმედი და სხვების ამომქმედებელი, მედგარი ბრძოლისაკენ მისი მოწოდება აღარა გვესმის, ყველაფერი ეს ჩვენ დიდათ გვაკლია და ამის გამო მეტათ ვწუხვართო.

საქართველოდან ხშირათ მოგვდის თავგანწირულ მებრძოლთა ცნობები და წერილები. ისინი ნოეს ხსოვნას მუდამ თან ატარებენ და ყოველდღიურ ბრძოლაში მისი მაგალითებით სარგებლობენ.

დღეს ამ საერთო კრიზისის და გარდატეხის ხანაში, როცა საჭირო არიან დიდი ნებისყოფის და ძლიერი პიროვნებანი, თავის პოსტზე ნოეს არ ყოფნა უთუოთ დიდი დანაკლისია ჩვენი საერთო საქმისათვის. მაგრამ მტერთან ჩვენი ერის და პარტიის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში დღეს იქ, საქართველოში ახალი ძალები იზრდება. და მოვა დრო, დადგება მომენტი, როცა ჩვენთვის დღეს ეს უჩინარი მებრძოლნი უცბათ ბრძოლის ფართე ასპარეზზე გამოვლენ, წარსულ ბრძოლებში დაკარგულ გმირებს აგვინაზღაურებენ და ჩვენი ერის განთავისუფლების საქმეს სახელოვანათ უხელმძღვანელებენ.»

ამხ. ნიკ. ჟუმბურიძე

(1886—1933)

«რათ მინდა ასეთი სიცოცხლე! ემიგრანტი, ჯანსაღიც კი გამორიცხულია ნამდვილ ცხოვრებიდან. მე კი 8 წელიწადია ამ ყოფაში ვარ—დასნეულებული, გაინვალიდებული. რაც მალე მომეღება ბოლო უკეთესიაო». აი რას გვეუბნებოდა დაჟინებით ლოგინად ჩავარდნილი კოლია ჟუმბურიძე. და აკი უსმინა განგებამ და ნოემბრის სუსხიან და ბურუსიან ღამეში მიიბარა მისი დაუდგრომელი და მოუსვენარი სული. ხორციელი ნეშთი კი 22 ნოემბერს მიებარა საფრანგეთის მიწას იმ პატარა სოფელ ლევილში, სადაც ქართველთ არა ერთი და ორი საფლავია გათხრილი. სიკვდილსაც ის იმავ გაფიქრებული და ფხიზელი რეალიზმით დაუხვდა, რაიცა მისი ბუნების და მოღვაწეობის მთავარ სამკაულთაგანი იყო. ორიოდე დღის წინ სრული სიმშვიდით, წერილობით დააწყო, დაამზადა და გააწესრიგა ყველაფერი მისი ამ სოფლიდან სამუდამოდ განშორებისათვის. აი რა დასწერა მან მისი უახლოესი პირადი მეგობრისათვის დატოვებულ ანდერძში შესახებ მისი დასაფლავებისა:

«დამასაფლავე უხმაუროთ—თავის თავათ ცხადია უმღვდელოთ და უწირავათ. არავითარი გვირგვინი და არც ერთი სიტყვა. მე ვთხოვ ჩვენ გაზეთებს, რომ არავითარი ნეკროლოგი არ მოათავსონ, გარდა ცნობისა—მოკვდაო. ეცადე რაც შეიძლება იაფი დაჯდეს ჩემი უკანასკნელი ბინა. ეს არის ჩემი სურვილი და არავის არც იურიდიული და არც ზნეობრივი უფლება არ აქვს იგი შესცვალოს».

ამით კოლიამ მისი დატირება და გამოგლოვება გადასდო იმ დღისათვის, როცა ხელახლა თავშეყრილი, განმტკიცებული და საქართოთ მომძლავრებული ჩვენი პარტია დაითვლის სახალხო და საეროვნო ბრძოლაში გაწეულ დიდ მსხვერპლს და თვითეულ მათგანს მიუზღავს მის ხვედრ პატივს, დიდებას და სიყვარულს...

ჩვენ კი, მის ამხანაგ-მეგობარ ემიგრანტებს გვმართებს პატივი ვცეთ მის უკანასკნელ სურვილს[*] და დავკმაყოფილდეთ იმით, რომ ღრმა გულისტკივილით ვამცნოთ მის თანამებრძოლთ აქ ემიგრაციაში და განსაკუთრებით იქ—ბრძოლის ველზე თუ ციხე-გადასახლებაში—, რომ დაუზოგავმა სენმა ტანჯვაებაში მოუღო ბოლო სულიერათ «კაჟივით» გაუტეხელს, ჭკვიანს, დაუღალავ მებრძოლს კოლია ჟუმბურიძეს.

ამხანაგი.

კირ. კაკაბაძის გადგომა

კომუნისტურ პარტიას გამოეთიშა და საბჭოთა ხელისუფლებას გადაუდგა კირილე კაკაბაძე, რომელიც უკანასნელი ორი წლის განმავლობაში ბერლინში იყო წარმოგზავნილი და განაგებდა ჭიათურის მარგანეცის გასაღების საქმეს. კაკაბაძეს კომუნისტურ მუშაობის მანძილზე ეკავა მრავალი საპასუხისმგებლო თანამდებობანი: იყო კომუნ. პარტიის პეტროგრადის კომიტეტის წევრი, წევრი პეტროგრადის მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის, გენ. იუდენიჩის წინაალმდეგ მომქმედ პეტროგრადის დამცველი რაზმის უფროსი და მრავალი სხვა; სხვათა შორის იყო წევრი სრულიად საბჭოთა კავშირის «გოსპლანის», ორჯერ იყო საქართველოს «გოსპლანის» თავმჯდომარეთ და შემდეგ საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეთ.

შეკითხვაზე, თუ რამ აიძულა გადადგომოდა კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას, კ. კაკაბაძემ განაცხადა: «ვერ ავიტანე ის მონური წესწყობილება, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ შექმნა; ხელისუფლებისა და მშრომელ ხალხს შორის ნამდვილი ბატონ-ყმური დამოკიდებულებაა; ქვეყნის მართვა-გამგეობა არის «გეპეუს» და «პოლიტატდელების» ხელში; დამშეულ ხალხის მიერ შექმნილ დოვლათს ანიავებენ საზღვარ გარეთ; სოციალიზმის განხორციელებაზე გაყვირიან სიტყვით, საქმით კი ყველა ჯურის ავაზაკები ჯიბეებს ისქელებენ; ვცადე შევბრძოლებოდი მტაცებელთა ბრბოს, მაგრამ ვისაც კი ბოროტმოქმედება დავუმტკიცე, ყველანი ლენინის ორდენით იქნენ დაჯილდოვებულნი; მე კი მომთხოვეს შვილები მძევლათ გამეგზავნა ბერლინიდან მოსკოვში—უარით ვუპასუხე. წინადადება მომცეს მოსკოვში დავბრუნებულიყავი, ამაზეც უარი მიიღეს. დამიწყეს ვაჭრობა, შემომაძლიეს პოსტები სხვა ქვეყნებში; უნდა წავყოლოდი კანდელაკს სტოკჰოლმში, უკანასკნელს უნდა მოეხერხებია რომელიმე ნავთსადგურში ჩემი რუსულ გემზე გადაყვანა და იქედან საიქიოს გამგზავრება; დროზე გავიგე ეს განზრახვა და არ წავყევი. ორჯონიკიძემ და ელიავამ

---

[*] სწორეთ ამიტომ ვერ ვბეჭდავთ იმ სამგლოვიარო დეპეშებსა და წერილებს, რომელიც მიიღო რედაქციამ ამხ. კ. ჟუმბურიძის გარდაცვალების გამო.
რედ.

მოსკოვიდან ტელეფონზე გამიწვიეს, უარი განვაცხადე მათთან დალაპარაკებაზე; მიმიპატიჟეს საიდუმლო ბინაზე ვითომც საიდუმლო წერილის თუ საიდუმლო დეპეშების გასაცნობათ, არაფერი არ გადის. ურალის ჯალათი კარპოვი მიფრინავს მოსკოვში და ღებულობს ინსტრუქციას: «ვო ჩტო ბი ტო ნე სტალო ლიკვიდიროვატ კაკაბაძე». მე ვიყავი ფრთხილად, მაგრამ მაგრათ. 27 სექტემბერს 9 საათზე წარმომიდგინეს ულტიმატუმი, რომ 28-ს საღამოს 6 ს. და 32 წ. მიმავალ მატარებლით წავსულიყავი მოსკოვში. ამაზეც უარი მიიღეს. ამას მოყვა ჩემი მტრად გამოცხადება და საბჭოთა «სასამართლოს» მიერ დახვრეტის მოსჯა».

საქართველოს და მოსკოვის ხელისუფლების ურთიერთობა კ. კაკაბაძემ ასე დაახასიათა: «მოსკოვი უბრძანებს. საქართველოს მთავრობა ასრულებს. ნამდვილი მთავრობაა ცენტრალიზაცია ქმნილი «გეპეუ» და საოკუპაციო ჯარის სარდლობა».

ამ ქამად კ. კაკაბაძე ამზადებს თავის მოგონებებს. მას განზრახული აქვს ევროპისა და ამერიკის მკითხველ საზოგადოებას გააცნოს საბჭოთა კავშირის დღევანდელი პოლიტიკური და ეკონომიური რეჟიმის ნამდვილი სურათი.

ცხადია, რომ კ. კაკაბაძეს ჩვენი ქვეყნის შესახებაც აქვს ბევრი, დღემდე საიდუმლოებით მოცული, საინტერესო ცნობები, რომელთაც ახლო მომავალში ჩვენი გაზეთის მკითხველებიც გაეცნობიან.

ნიკოლის გამტყუნება

ჩვენს მკითხველს ახსოვს, რომ საქართველოს ეროვნულ მთავრობის წარმომადგენელმა ერთა ლიგის წინაშე, ხარიტონ შავიშვილმა, უჩივლა ჟენევის სასამართლოში დიფამაციისათვის ცნობილ ლეონ ნიკოლს, რომელიც თავის გაზეთ «ლე ტრავაი»-ში ჩვენს მეგობარს უსინიდისო ცილისწამებით გაუმასპინძლდა: ის და მისი მთავრობა დაქირავებულია უცხო კაპიტალისტების მიერ—«შავიშვილს ნავთის სუნი სდისო».

პირველი ინსტანციის სასამართლომ ნიკოლი დამნაშავეთ სცნო და მიუსაჯა: შავიშვილის სასარგებლოთ 1500 შვეიც. ფრანკის გადახდა, სასამართლოს ხარჯების ანაზღაურება და განაჩენის მის (ნიკოლის) ხარჯზე 5 გაზეთში დაბეჭდვა.

ნიკოლმა ეს განჩინება სააპელაციო ინსტანციაში გადაიტანა, რომელსაც ამას წინათ განუხილავს საქმე. აქ ნიკოლს კიდევ უარესი ამბავი მოსვლია, როგორც ამას ჟენევის გაზეთები იუწყებიან.

სააპელაციო სამსჯავროს გამოუტანია დაწვრილებით დასაბუთებული განჩინება, რომელშიაც მის მიერ წამოსროლილი ცილისწამება საქართველოს მთავრობის და ხ. შავიშვილის მიმართ მძიმე დიფამაციათ უცვნია. სასამართლო დაწვრილებით განიხილავს მოწმეების ჩვენებას და ყოველივე ღირებულებას მოკლებულათ გამოუცხადებია ნიკოლის დამქაშის, ერლერის გრძელი ჩვენება და დაუსკვნია, რომ «ლე ტრავაი»-ს მიერ წამოყენებულ ბრალდებებს არავითარი საფუძველი არ აქვს. სააპელაციო განაჩენი აღიარებს ხ. შავიშვილის შეუბღალავ პატიოსნებას და სინიდისიერებას და მიუსჯის ნიკოლს გადაიხადოს შავიშვილის სასარგებლოთ 1600 ფრ. (შვეიცარული), აგრეთვე სასამართლოს ხარჯების ანაზღაურებას და განაჩენის ხუთ გაზეთში გამოქვეყნებას.

ანგარიში

განსვენებულ ამხანაგ ნიკო ნასიძის დასაკრძალავ ხარჯებისა:

შემოსწირეს:

ას-ასი ფრანკი. გოგიბერიძე ს., ქორქოლიანი დ., ცინცაძე ნ., ჯორბენაძე ა., ბალანჩივაძე ლ., ბოლქვაძე გ., სამაწონე «Orientai».

ორმოცდაათ-ათი ფრ.: ჟორდანია ნ., გეგეჭკორი ევ., აბდუშელი შ., სარჯველაძე პ., იმნაიშვილი ქრ., რუხაძე პოლ., ინწკირველი პრ., ვარდოიანცი მ., მაჭავარიანი ერ., წულაძე ვ., ასათიანი აკ., ელიგულაშვილი ი., ცინცაძე გრ., მელუა მ. ვადაჭკორია ა.

ორმოც-ორმოცი ფრ.: ფოფხაძე გ., შარაბიძე ნ., მეფარიშვილი ა.

ოცდაათ-ათი ფრ.: ჩიმაკაძე, თაყაიშვილი ნ., მანწკავა ის.

ოცდახუთ-ხუთი ფრ.: ჩხენკელი აკ., კანდელაკი კ. ინწკირველი ვ., წულაძე ბ., სურგულაძე გ., ხელაძე დ. მარჯანიშვილი დ., პაპუაშვილი, შავგულიძე ა., ფერაძე დ., ბერიშვილი შ., მენაღარიშვილი ს., ლომთათიძე დ., პატარიძე.

ოც-ოცი ფრ.: იმნაძე ვ., ნაკაიძე შ., ჯაველიძე შ., ბლიაძე ს., ჩუბინიძე ვ., ჯიშკარიანი, ჯღენტი ბ., ჭყონია ს.

თუთხ.-თუთხ. ფ.: გრიგოლაშვილი ა. კალანდაძე ნ.

ათ-ათი ფრ.: ასათიანი ალ., კოკაია ივ., ლაბაძე ვ. ჟღენტი ს., ჩახვაძე მ., ბოცვაძე ი., ბოკუჩავა, კანკავა ა., მიმინოშვილი, ურატაძე გრ., ქავთარაძე კ., ერაძე გ., შარაშიძე დ., ჟღენტი გ., ნიჟარაძე კ., ჭუმბურიძე კ., ქარსელაძე ის., ებრალიძე ერ., გოგუაძე ვ., ჩიჩუა ზ., ჭავჭანიძე ვ. ხუთი ფრანკი: ხალიაპინი.

სულ შემოსულია თანახმათ სიისა 2.415 ფრანკი.

გასავალი:

დამკრძალავ ბიუროს 1500 ფრ.; ლევილში, სასაფლაოს და სხვა ხარჯები 330 ფრ.; გაზეთში ცნობის მიცემა 50 ფრ.; წერილების დაბეჭდვა და დაგზავნა 55 ფრ.; ფოტოგრაფს (ბეთ) 100 ფრ.; სხვადასხვა ხარჯები (მიცვალებულის მოვლა, გზა და სხვა) 167-60; კლიშე გაზეთისათვის 56-20. სულ 2.258 ფრ. და 80 ს.

დარჩა 156-20, რაიცა გადაირიცხება განსვენებულის საფლავის მოსაწყობ ფონდში.

დამკრძალავი კომისია მადლობას უძღვნის ყველა შემომწირველთ.

კომისია.

შეცდომის გასწორება.

«ბრ. ხმ.» წინა ნომერში დაბეჭდილ ფელეტონში დაშვებულია შემდეგი კორექტურული შეცდომები: 1) მეოთხე გვერდზე ფელეტონის მესამე სვეტში ზევიდან მეორე სტრიქონში დაბეჭდილია «თვითმპყრობელობის ნიადაგზე», უნდა იყოს «თვითმპყრობელობის ნანგრევებზე»; 2) იმავე სვეტში, ქვევიდან მეთვრამეტე სტრიქონში დაბეჭდილია «1904 წელში», უნდა იყოს «1901 წელში».

პროექტი*)

საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის პროგრამისა

საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია არის ნაწილი საერთაშორისო სოციალისტურ მუშათა მოძრაობისა; ის არის სექცია სოციალისტურ ინტერნაციონალისა.

პარტიის დამახასიათებელია ორი მომენტი; ინტერნაციონალური და ნაციონალური. მისი კავშირი ინტერნაციონალთან განისაზღვრება საერთო სოციალისტური დოქტრინით, საერთო ისტორიული, ფილოსოფიური და ეკონომიური მსოფლმხედველობით—ერთის მხრით,—საერთო პოლიტიკური და სოციალური დროშით, საერთო მიმდინარე და საბოლაო მიზნებით—მეორე მხრით.

პარტიის ნაციონალური მხარე ისაზღვრება ქართველი ერის საკუთარი ისტორიით, კულტურული, ეკონომიური, პოლიტიკური და ნაციონალური მდგომარეობით, მისი დამახასიათებელი ცხოვრების პირობებით და სოციალური ურთიერთობით. ეს მომენტი იძლევა იმ კალაპოტს, რომელშიდაც მოქცეული, ამუშავებული და გარდატეხილია საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობა.

ამ მოძღვრების ძირითადი საგანია ეკონომიური განვითარების განსაზღვრული საფეხური, ისტორიული მსვლელობის ერთი თანამედროვე ეტაპი წოდებული კაპიტალისტურ წარმოებათ.

სადაც კი ეს ეკონომიური მოვლენა ფეხს იდგამს და ვითარდება, იქ დგება ახალი სოციალური ურთიერთობა, განსხვავებული ისტორიის წინა ეტაპის ასეთივე ურთიერთობისაგან და ჩნდება ნიადაგი მუშათა მოძრაობისა და მათი პარტიულად ჩამოყალიბებისა.

ქართველი ერი დიდი ხანია ჩადგა ამ საერთაშორისო ეკონომიურ ფერხულში, ამოევლო კაპიტალისტურ ემბაზში, გააგრძელა თვისი ნათესაობა ევროპიული საზოგადოების სტრუქტურასთან და ჩადგა სავსებით მის ფარგალში. ამ საერთაშორისო ეკონომიური მოვლენის ჩვენში ამუშავებას ბუნებრივი აუცილებლობით მოყვა მისი საერთაშორისო მუშური გაგება, მისი დაფასება და საქართველოს მშრომელთა მასების სოც. ინტერ. ასპარეზზე გამოსვლა. ეს გამოსვლა წარმოებს ქართული ენის, ქართული კულტურის, ქართული პოლიტიკის და სოციალურ ძალების საშვალებით, ე. ი. ინტერნაციონალური, მატერიალური და სულიერი მოვლენა ამუშავებულია ნაციონალურ ხაზზე და აქ პოულობს ის თავის საზრდოს და განსახიერებას. ქართველ ერს ეკონომიურათ შესულ საკაცობრიო ოჯახში არ შეეძლო არ შესულიყო იმავე ოჯახში კლასიურად, სოციალურად და არ გადაბმულიყო იქ მონათესავე დაჯგუფებებთან. მთელი ქვეყნის კაპიტალი და შრომა იღებს თავის გამართლებას და ბრძოლის ფარ-ხმალს ერთი და იმავე წყაროდან. კაპიტალის პატრონი—კაპიტალისტურ იდეოლოგიიდან და ორგანიზაციიდან, შრომის პატრონი—მშრომელთა მსოფლმხედველობიდან და კავშირიდან.

ს. ს.-დ. მ. პარტია, მაშასადამე, ეწევა ბრძოლას საერთაშორისო პროლეტარული მოძღვრების ეროვნულ ჩარჩოში გასატარებლათ და გასამარჯვებლათ. ეს მისი ინტერნაციონალური და ნაციონალური პოზიცია დამყარებულია შესაფერ თეორეტიულ და პოლიტიკურ საფუძველზე.

ა. საფუძველი ინტერნაციონალური.

შრომა არის სათავე კაპიტალის. კაპიტალისტური წარმოება ხასიათდება შრომის და კაპიტალის განსაკუთრებითი ურთიერთობით. სანამ შრომის ნაყოფის რაიმე ნივთი რჩება საგნათ მოხმარების, მოთხოვნილების დასაკმაყოფილებელი, მანამდე ის კაპიტალი არ არის; შრომის ნაყოფი იქცევა კაპიტალად მას შემდეგ, რაც ის ხდება საშუალებად შრომის ექსპლუატაციის, ე. ი. სხვისი შრომის მითვისების წარმოების და ალებ-მიცემობის პროცესში. ამიტომ კაპიტალი იქნება სახელმწიფოს თუ კერძო პირთა ხელში საქმის არსებას არ სცვლის. კაპიტალისტი სახელმწიფო, კაპიტალისტი პიროვნება თუ პიროვნებათა კრებული,—ყველა კაპიტალისტია,—სხვისი ნაშრომის მიმთვისებელი, სხვისი ოფლით თავისი თანხის მზრდელი.

მსოფლიოში გაბატონებულ კერძო კაპიტალიზმს ეს ერთი ხანია მიემატა საბჭოთა სახელმწიფო კაპიტალიზმი, რომელნიც თავისი ბუნებით ერთი მეორესგან სრულიად არ განირჩევიან. გამყვლეფელნი და გაყვლეფილნი ორივე შემთხვევაში ერთი და იგივე ეკონომიური კატეგორიაა: კაპიტალი და შრომა. კერძო კაპიტალისტურ ანუ ბურჟუაზიულ წარმოებაში კაპიტალის ბატონობა და შრომის გაყვლეფა სწარმოებს ეკონომიური ზომებით, შრომის და კაპიტალის სოციალურ ურთიერთობისაგან გამომდინარე აუცილებელ კანონებით. საბჭოთა სახელმწიფოს წარმოებაში ამ ეკონომიურ ზომებს ერთვის პოლიციური ზომებიც, მთელი ძალაუფლების ერთ წრეში მონოპოლიურათ თავმოყრისაგან გამომდინარე მიუცილებელი წესებით.

პირველ შემთხვევაში პროლეტარიატი აღჭურვილია პოლიტიკური უფლებებით თანაბრათ ეკონომიურათ გაბატონებულ კლასებთან ერთად. ამიტომ შრომის ექსპლუატაციის ხარისხი და ზომა პოულობს რეგულიატორს მშრომელთა დარაზმულობაში და ბრძოლაში. მეორე შემთხვევაში პროლეტარიატი მოკლებულია ყველა კლასებთან ერთად ყოველნაირ უფლებას თავისი დაცვის, ბრძოლის და ორგანიზაციის და იძულებულია იდგეს პირდაპირ უშუალოთ ყოვლის შემძლე პოლიციურ კაპიტალისტთან.

აი ამ განსხვავებით ორივე კაპიტალიზმი ერთი და იგივე ეკონომიური ბუნების, ისტორიული საფუძვლის და სოციალური გეზისაა.

კაპიტალისტურ პერიოდის დამახასიათებელი თვისებაა ის, რითაც ხასიათდება ყველა მისი წინამორბედი სოციალური პერიოდები,—ეს არის შრომის წესები, ე. ი. კრებული იმ საშვალებათა, რითაც და როგორადაც ადამიანი იკმაყოფილებს თავის საარსებო მოთხოვნილებებს. ანტიური საზოგადოება, ფეოდალური წყობა და თანამედროვე ხანა აეგო სხვა და სხვა საწარმოო საშვალებებზე. პირველის საფუძველია მონა, მეორის ყმა, მესამის პროლეტარი. ამ საფუძვლის თანდათანი გაქრობა აქრობს მთელ მასზე აგებულ საზოგადოებრივ წყობილებას. მაშასადამე ყოველგან, სადაც კი პროლეტარული შრომაა შემოღებული, შემოღებულია ამით კაპიტალიზმი.

საზოგადო წყობილება იცვლება შრომის პროცესის ცვლილებასთან ერთად, ხოლო ეს ცვლილება ხდება ბუნებრივი აუცილებლობით, ადამიანის შეგნების და პლანების დამოუკიდებლათ. ადამიანი იძულებულია თავისი თავი ირჩინოს; როგორ და რითაც ის ამას ჩადის, ამის დაგვარად ეწყობა მისი ცხოვრება და ურთიერთობა. მხოლოდ ეს უკანასნელი პროცესი, საზოგადო ურთიერთობის ახალ ხაზზე გადაწყობა ხდება გვიან, დიდი ხნის შემდეგ თვით მისი ეკონომიური საფუძვლის გადასხვაფერებისა, ხდება ძალით, ცეცხლით და მახვილით, რევოლიუციური ქარტეხილებით. ამის მთავარი მიზეზია ორგვარი: იდეური, ადამიანის ბუნებრივი კონსერვატორობა, მისი ზნე-ჩვეულებათა ტყვეობა, მისი იდეოლოგიური გაყინება და გონებრივი სიზანტე. მეორე მიზეზია სოციალური; ის ვინც ცვლილებით ზარალობს,—ებრძვის ამ ცვლილებას, ვინც ამით იგებს, ის იბრძვის მის სასარგებლოთ. ცხადია დაჩაგრული კლასი ისტორიულათ ყოველთვის მართალია, ის არის პროგრესის მატარებელი, რევოლიუციის აგენტი, ახალ ეკონომიურ საფუძველზე შესაფერ ზედნაშენების ამგები. ეს ბრძოლა დიდი, საკაცობრიო მასშტაბით სწარმოებს დღეს ჩვენს თვალწინ.

რაკი ისტორიულ განვითარების საფეხურები იცვლებიან, ერთი მეორეს მისდევენ, ცხადია მისი უკანასკნელი საფეხური, კაპიტალისტური ხანა არ შეიძლება იყოს მუდმივი, უცვლელი, სამიდღემჩიო წყობილება. პირიქით ისიც ექვემდებარება განვითარების იმავე კანონს და წარმოადგენს მხოლოდ ერთ ეტაპს კაცობრიობის შარა გზაზე. მისი დაბოლოვება, მისი ახალი წყობილებით შეცვლა აუცილებელია. რა მხრით, რა ფორმით? ამის პასუხს იძლევა შრომის პროცესის განვითარება, საზოგადოების ამ ძირეულ მოვლენის მდგომარეობა.

კაპიტალისტური წარმოების მიუცილებელი თვისებაა კონკურენცია, ბაზარზე უამრავი საქონლის გამოტანა სხვადასხვა პირებისაგან ერთი მეორესთან შეუთანხმებლათ და მოურიგებლათ. აქ ძლიერი ამარცხებს სუსტს საქონლის იაფად დამზადებით და იაფად მიწოდებით. მდიდარი მდიდრდება, ღარიბი ღარიბდება. ხდება კაპიტალის კონცენტრაცია, მსხვილ წარმოებათა გაბატონება, მასების პროლეტარიზაცია, წვრილ მესაკუთრეთა გაყვლეფა—ერთი სიტყვით, მთელი მშრომელი ერის ერთი მუჭა ბატონების საწველ ფურად გადაქცევა. კაპიტალისტური წარმოება თავისი ხელებით ქმნის თავის მოწინააღმდეგე ბანაკს, ამრავლებს თავის მტრებს, თავს უყრის ერთ ჭერს ქვეშ, რაზმავს ყველა მშრომელთ თავის წინააღმდეგ. და ეს იმიტომ კი არა, რომ ასეთია მისი სურვილი, პირიქით სურვილი კაპიტალისტების სულ წინააღმდეგია, მაგრამ სისტემა მათი მუშაობის აუცილებლათ იძლევა ამ შედეგს, რომლის გარეშე თავისი სისტემა არ არსებობს. მაშასადამე კაპიტალიზმი ბუნებრივი აუცილებლობით იძლევა მის მესაფლავეს და მემკვიდრეს. ფორმას ამ სამკვიდროსას იძლევა იგივე კაპიტალიზმი. რაკი მისი ნიშნობლივი თვისებაა საქონლის წარმოება, ხოლო მისი გაყოფა და დარიგება შეუძლებელია ისე, რომ არ მოისპოს თვით წარმოება, ცხადია ერთადერთი შესაძლებელი ფორმა არის შენახვა იმავე წარმოებისა კოლექტივის ანუ საზოგადოების საკუთრებაში გადასვლით. ამ განსაზოგადოებას აადვილებს კაპიტალიზმის მიერ შექმნილი საწარმოო წესები: მუშათა თავის მოყრა ერთ სახურავს ქვეშ და მათი ამუშავება მწყობრათ და შრომის დისციპლინით. თვით საქონელი კეთდება საზოგადო წესით, ხოლო მისი მითვისება ხდება ინდივიდუალური წესით. მათ შორის ამ წინააღმდეგობის მოსპობა შეიძლება მხოლოდ განაწილების ისეთივე საზოგადო პროცესათ გადაქცევით, როგორც საქონლის დამუშავებაა. საწარმოო პირობები, მაშასადამე, უკვე შეცვლილია იმდენად, რომ მასზე აეგოს ახალი კოლექტიური ანუ სოციალისტური წყობილება. მაგრამ აქ ხდება ინტერესთა დიდი შეხეთქება, აზროვნების და ზნეჩვეულებათა კონსერვატორობა და საზოგადოების საბედისწერო კრიზისში ჩავარდნა.

ორი ბანაკი დგას პირისპირ: კაპიტალის და შრომის წარმომადგენელნი. ამათი ბრძოლის გადამწყვეტია სხვა კლასები, კაპიტალისტებს და პროლეტარიატს შორის მდგომნი და მათი მიმყოლნი. მაგრამ ვინაიდან იდეოლოგია მოდის მდგომარეობიდან, ხოლო ამ კლასების მდგომარეობა სხვადასხვანაირია, ძირმომპალი კაპიტალიზმი ამით სარგებლობს და თავის არსებობას ახანგრძლივებს.

მშრომელი ხალხის ყველა ნაწილები, გარდა ერთად ერთი პროლეტარიატისა, იმყოფება წინაკაპიტალისტურ შრომის პირობებში, ინდივიდუალურ წარმოებაში და განაწილებაში. გლეხი, ხელოსანი, წვრილი ფაბრიკანტი, მეწვრიმალე და სხვა ხელობის და დარგის მომუშავენი თავს ირჩენენ თავისი პირადი შრომით და ნაშრომის განაღდებით. ამ განაღდების პროცესში ერევა კაპიტალისტი და უდიდესი კერძი თითონ მიაქვს. მშრომელი მესაკუთრე ამის წინააღმდეგია, მაგრამ გამოსავალი გზა ვერ მიუგნია. ამის მიგნება დიდხანს გაუჭირდა პროლეტარიატსაც, თვარა წვრილ მესაკუთრეთ გაუჭირდეთ რა გასაკვირალია. მუშათა კლას დიდხანს ეგონა მისი განთავისუფლების შესაძლებლობა კაპიტალიზმის ფარგლებში და მის გვერდით. ამ იდეოლოგიას ემსახურებოდენ მეტად დიდი მოღვაწენი—სისმონდი, პრუდონი, ლუი ბლანი და სხვები.

ამ ქამათ ამ ილიუზიების მატარებელია წვრილ მწარმოებელთა კლასი, რომლის ფარგლებში ფეხს იკიდებს ყოველნაირი უტოპიური დემაგოგია: ფაშიზმი, ნაციონალური სოციალიზმი და სხვა. ამ ნიადაგზე აღორძინდა აგრეთვე საბჭოთა იდეოლოგია და წყობილება.

საბჭოთა მთელი იდეოლოგია აგებულია ერთ ძირითად მოსაზრებაზე: შრომის განთავისუფლება შესაძლებელია სახელმწიფო კაპიტალიზმის საფუძველზე, ე. ი. ერთ და იმავე დროს, ერთ და იმავე ალაგას ბატონობდეს შრომაც და კაპიტალიც სხვა და სხვა გამოგონილი კომბინაციების და მახინაციების საშუალებით. მთელი საბჭოთა სოციალური საქმიანობა მოთავსებულია ამ კომბინაციების კვლევაძიებაში, მათ ცვლაში და გადაცვლაში, მათ მოწონებასა თუ დაწუნებაში, ხოლო თვით ძირეული მოსაზრება—შრომისა და კაპიტალის ერთად გაბატონებისა—ხელშეუხლებელია, წმიდათა წმიდათ აღიარებულია და დაეჭვება მათში სასტიკათ აკრძალულია. ეს წვრილ-ბურჟუაზიული ილიუზიაა, რაც ევროპამ თავის დროზე განვლო თეორიულად, გადიან ახლა მას საბჭოთა ქვეყნები პრაქტიკულად, თავის ზურგით და გვერდებით. არასოდეს არც ერთ ისტორიულ ეპოქას არ მოუცია ისეთი უდიდესი დასაბუთება სოციალური უტოპიის განუხორციელებლობისა, როგორსაც დღეს იძლევა რუსეთი.

თუ საბჭოთა კაპიტალიზმი ასეთი უნაყოფოა დასახული მიზნის მისაღწევათ, ე. ი. დადებითი მხარეებით, სამაგიეროთ დიდათ ნაყოფიერია კაპიტალისტური შედეგებით, მრავალნაირი უარყოფითი მხარეებით. კაპიტალის ძირითადი ტენდენცია—გაამრავლოს პროლეტარიატი, გაყვლიფოს ის და მასთან ერთად მთელი მშრომელი ხალხი,—გასაოცარის სისწრაფით ტარდება საბჭოთა ქვეყანაში. შრომის და შრომის იარაღის ერთი მეორესაგან დაშორება, წვრილ მესაკუთრეთა ძალათ ექსპროპრიაცია და მათი ბოგანოთა კლასში გადასროლა, მუშის ხელფასის საშიმშილო დონემდე დაყვანა და მისი უუფლებობა საბჭოთა მეურნეობის სოციალური პოლიტიკაა. აი ამ რუსული უტოპიზმის დღეს ევროპის პროლეტარიატში შემოჭრა მოწმობს ამ კლასში კიდევ დარჩენას ნაშთების ძველ წინამარქსისტული იდეოლოგიისა და პრუდონული «სოციალიზმისა».

კერძო კაპიტალისტურ ქვეყნებში დღის წესრიგში დგას კერძო კაპიტალის ექსპროპრიაცია საზოგადოების მიერ. საბჭოთა სახელმწიფო კაპიტალისტურ ქვეყნებში კი დღის წესრიგში დგას სახელმწიფო კაპიტალის ექსპროპრიაცია საზოგადოების მიერ.

კაპიტალისტური წარმოების შინაგანი წინააღმდეგობა და მისი გარეგანი სოციალური კონფლიქტები უმწვერვალესად განვითარებულია დღევანდელ ხანაში. ანტაგონიზმი საწარმოო ძალების და საწარმოო ფორმებს შორის, რაიცა საქვეყნოთ იფეთქებს ხოლმე პერიოდულათ კრიზისების სახით, დღეს გადაიქცა სათავედ ეკონომიური ქაოსის და პოლიტიკური არევ-დარევის. საწარმოო ძალა აუჯანყდა კაპიტალისტურ საკუთრებას, ვერ ეტევა მის კალაპოტში, აჩერებს წარმოებას, ბადებს მილიონობით უმუშევართ, ავიწროვებს საქონლის ბაზარს, განსაცდელში აგდებს თვით მესაკუთრეთ, აკოტრებს ბანკებს, წვდება თვით კაპიტალისტებს, ანადგურებს მთელს საზოგადოებას, და საქვეყნოთ სვამს საკითხს კაპიტალისტური რეჟიმის შეცვლისას. კაპიტალისტურ სისტემაში ველარ ეტევა მის საშოში შექმნილი სიმდიდრე, მისი რაციონალიზაციით და მექანიზაციით გაზრდილი საწარმოო ძალები აჯანყებულან და ლამის გახეთქონ ვიწრო კაპიტალისტური რკალი განაწილებისა და მოხმარებისა. ჩვენ შევდივართ რევოლიუციონური კატაკლიზმების ხანაში, ერთ და იმავე დროს სქდება კერძო და საბჭოთა კაპიტალიზმი, ორივე ერთად შევიდა რღვევის პერიოდში. ამ პერიოდის ამოცანები შეიძლება ჩამოყალიბდეს ორი მიმართულებით: იმის და მიხედვით თუ ვინ იქნება მათი ხელმძღვანელი. სოციალური გადასხვავება პროლეტარიატის მეთაურობით ნიშნავს სოციალისტურ რევოლიუციას, ხოლო წვრილ ბურჟუაზიული წრეების მეთაურობით—სოციალურ რეაქციას. ფაშისტური, ბოლშევიკური და მათი მიმყოლი წრეების პოლიტიკური გამარჯვება არის გამარჯვება ეკონომიური რეაქციის და პოლიტიკური ტირანიის. მხოლოდ სოციალისტური პროლეტარიატის მეთაურობა და მის ზურგს უკან სხვა უკმაყოფილო კლასების დაჯგუფება იძლევა გარანტიას ეკონომიური პროგრესის და დემოკრატიული წყობილების.

ბ. ნაციონალური საფუძველი.

საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა დიდათ განირჩევა ევროპის მდგომარეობისაგან. მათ შორის მშრომელთა ჩაგვრის და ექსპლუატაციის მხრით განსხვავებაა მხოლოდ იმ მხრით, რომ საბჭოთა ქვეყანაში კაპიტალისტურ წყობილების უარყოფითი მხარეები გაცილებით უფრო მკაცრი, ველური და გაზვიადებულია, ვინემ ყველა სხვა ქვეყნებში. მაგრამ ეს ჩაგვრა წარმოებს ჩვენში განსაკუთრებულ ფორმებში, არა ევროპიულ სოციალ-პოლიტიკურ ურთიერთობაში.

დასავლეთში საკითხი დგას ბურჟუაზიული წყობილების სოციალისტურ წყობილებათ გარდაქმნის, საქართველოში კი ბოლშევიკურ, ე. ი. არაბურჟუაზიულ, არამედ სახელმწიფო კაპიტალისტურ წყობილების სოციალისტურათ დაბოლავების. ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ ურთიერთობის აუცილებელი დასკვნა სოციალისტური ურთიერთობაა. რა დასკვნა შეიძლება გამოვიდეს ბოლშევიკურ წყობილებისაგან? ამის პასუხს მოგვცემს კონკრეტიული მდგომარეობის ანალიზი.

საქართველოს ეკონომიკის მთავარი წყაროა მიწადმოქმედება. გეოგრაფიული და კლიმატიური პირობების წყალობით მიწადმოქმედების მთავარი დარგია ეგრედ წოდებული ფასიანი კულტურა: ღვინო, აბრეშუმი, მატყლი, ბამბა, ჩაი, ხილი, წყლები და სხ. ამას მოსდევს ხორბლეულობა და მესაქონლეობა, უმთავრესათ ოჯახში მოსახმარათ. ამ ნიადაგზე აშენდა მიწის მფლობელობაც, რაიც იხატებოდა უმთავრესად წვრილ საკუთრებასა და წვრილ მეურნეობაბი. ქართველი ხალხი წვრილი მესაკუთრეა. მაგრამ ვინაიდან ქვეყანა მეტად მთაგორიანია და მოსახმარი მიწა მცირეა, წვრილ მესაკუთრეთა დიდ უმრავლესობას არ ყოფნიდა თავისი მიწა და იძულებული

---

*) ნ. რამიშვილის პროგრამის პროექტის გამოქვეყნების შემდეგ პარტიის ცეკამ მოითხოვა ამ საქმის დაჩქარება და ახალი პროექტების გამოგზავნა, თანაც მან გვაცნობა, თავისი შენიშვნები და აზრები საპროგრამო საკითხებზე. ამის პასუხათ ამხ. ნ. ჟორდანიამ შეადგინა პროგრამის პროექტი, რომელიც გადაგზავნილ იქნა პარტიისათვის სადისკუსიოთ. ეს პროექტი პირველათ იბეჭდება ამ ნომერში.

რედ.

ეროვნული

იყო თავისი შემოსავალი შეევსო გარეშე მეურნეობის შრომით, დღის ქირაზე გასვლით და საფაბრიკო მუშაობაში ჩაბმით. ქართველი გლეხი გახდა სოფლელიც და ქალაქელიც, მესაკუთრეც და პროლეტარიც. აი ეს მისი ეკონომიური მდგომარეობა ვერ შესცვალა ვერც აგრარულმა რეოლიუციამ. სხვილი მიწადმფლობელობის გაუქმებამ (პატრონს დაუტოვეს მხოლოდ შვიდი დესეტინა ვარგისი მიწა) და ჩამორთმეული მიწების ნაწილის გლეხებისათვის დარიგებამ. ამ მიწებს ისინი წინადაც ამუშავებდენ და პატრონთ ღალას აძლევდენ. მაშასადამე რეფორმის შედეგი იყო აი ამ ღალის მოსპობა, მაგრამ მან ვერ შეავსო მიწის ნაკლებობა, გლეხს მაინც არ დაურჩა საყოფი მიწა და მაშასადამე მისი სოციალური მდგომარეობა არ შეიცვალა, დარჩა ერთი და იმავე დროს მესაკუთრეთ და ქირის მუშათ. ის ორგანიულად დაუკავშირდა ქართველ პროლეტარიატს და მოექცა მის იდეურ-პოლიტიკურ ჩარჩოში.

საბჭოთა რეჟიმი პირველად დაეყრდნო გლეხის ამ ნივთიერ საფუძველს. იცნო მისი აგრარული ურთიერთობა და მოინდომა მასზე დაშენება თავისი პოლიტიკური შენობის. მაგრამ ჩქარა აღმოჩნდა, რომ ამ შენობასთან შეუძლებელია დამოუკიდებელი კლასების არსებობა და გაიმართა ბრძოლა გლეხობას და გაბატონებულ პარტიას შორის. გლეხის მეურნეობის შენახვა და განვითარება გახდა საფრთხეთ რეჟიმის არსებობისა მთელს საბჭოთა ტერიტორიაზე და მას უქადდა მოკლე დროში დანგრევას. მოსკოვი ამას მიხვდა და ის იყო სტალინმა აღმართა დროშა «ერთი ქვეყნის სოციალიზმისა», რაიცა გამოცხადდა სინონიმად ყველა დამოუკიდებელ კლასების მოსპობისა და მათი სარჩო-საბადებლითურთ სახელმწიფოს საკუთრებად გამოცხადებისა. იწყება მთელ ფრონტზე ძალით კოლექტივიზაცია, «კულაკების», ე. ი. წვრილი მესაკუთრის მოსპობა როგორც კლასის. ქართველი გლეხობა შეებრძოლა ამ მიმდინარეობას, შეებრძოლა პასიურათ, ეკონომიური ზომებით და აქტიურად—იარაღით ხელში. დაიწყო ანტიკოლექტიური ფართო მოძრაობა. ამ ბრძოლის შედეგია კოლექტივიზაციის შესუსტება, მოდუნება და გლეხის მეურნეობის სანახევროდ მაინც გადარჩენა. ვინაიდან სოციალიზმი ებრძვის მხოლოდ კაპიტალისტურ საკუთრებას, ხოლო წვრილი მესაკუთრე გლეხები, მით უფრო ჩვენი მიწის ნაჭრების მესაკუთრენი, არ არიან კაპიტალისტები, ცხადია ბოლშევიკების სამიწადმოქმედო პოლიტიკა ნაკარნახევია არა მართლა სოციალისტური მოსაზრებით, როგორც ამას თვითონ გაჰყვირიან, არამედ მხოლოდ რეჟიმის, თავის ბატონობის გადარჩენის წყურვილით. ყველა ტირანია ებრძვის ქვეშევრდომთა ეკონომიურ დამოუკიდებლობას.

ჩვენი ეკონომიკის მეორე დარგია მრეწველობა და ალებ-მიცემობა. ძველი რეჟიმი მას საგანგებო ზომებით ერთ წერტილზე აყინებდა და მხოლოდ მარგანეცის გაზიდვით კმაყოფილდებოდა. საქართველოს ინდუსტრიაზე ზრუნვა შეეძლო მხოლოდ ნაციონალურ ხელისუფლებას და მან ეს კიდეც დაიწყო დამოუკიდებლობის ხანაში. ამ პროცესის დაჩქარება შეიძლებოდა ორის გზით: კერძო სამრეწველო ინიციატივის გვერდით სახელმწიფო, სათემო და კოოპერატიული წარმოების გაჩაღებით. მარტო კერძო ინიციატივაზე დამყარება ნიშნავდა ქვეყნის საარსებო ინტერესების კაპიტალისტებისათვის დამორჩილებას და ისიც უმთავრესად უცხოელებისათვის; მარტო საზოგადო ინიციატივაზე დაყრდნობა ნიშნავდა ინდუსტრიალიზაციის დასუსტებას, ბიუჯეტის, ე. ი. გადასახადების გამრავლებას, უცხო ნასესხები კაპიტალისთვის დიდი პროცენტების და გარანტიების მიცემას,—ერთი სიტყვით ბოლოს და ბოლოს ხალხის დატვირთვას, დაბეგვრას, გაღარიბებას და ინდუსტრიალიზაციის ამ მთავარი ძირის, მისი სასყიდელი ძალის მოჭრას. საბჭოთა რეჟიმმა იმავე თავის შენახვის მოსაზრებით სწორეთ ამ მეორე გზას მიმართა, კერძო წარმოება და ვაჭრობა მოსპო და მათ ალაგას თვითონ წამოსკუპდა. შედეგი ვიცით,—ქვეყნის სამაგალითო გაძარცვა, გაღატაკება, წარმოების, შრომის ნაყოფიერების დაცემა, უცხო კაპიტალისტებისთვის დაყმობა, ინდუსტრიალიზაციის შეუძლებლობა. საქართველოში არავითარი ინდუსტრიალიზაცია არ წარმოებს თუ სახეში არ მივიღებთ მარგანეცის გატანას, რაც არ ახალია და საეჭვო ღირსების ელექტრონის სადგურების აგებას. ინდუსტრიალიზაცია ითხოვს უმთავრესად ფართო ბაზარს, ე. ი. ხალხის სასყიდელი ძალის გაძლიერებას, შინაურ კრედიტს, ე. ი. ხალხში დაგროვილ თანხების თავის მოყრას საკრედიტო დაწესებულებებში და წარმოებაში ჩადებას. არც ერთი ეს მიუცილებელი პირობა საბჭოთა რეჟიმში არ არსებობს, ვინაიდან ეს რეჟიმი ვერ ითმენს კერძო ინიციატივას, დამოუკიდებელ მეურნეობას, საზოგადოების ეკონომიურ თვითმოქმედებას. გაძარცული ხალხი არ არის წყარო არც კრედიტის, არც ბაზრის.

ქართველი სოც.-დემოკრატიის წინაშე თავიდანვე ნათელი იყო საქართველოს ხალხის ეკონომიური და სოციალური სტრუქტურის თავისებურობა. ერში, სადაც მსხვილი მიწადმფლობელობა მოსპო რევოლიუციამ, ხოლო ბურჟუაზია არ აღმოჩდა იმდენად გაძლიერებული, რომ დაცემული კლასის მაგიერობა გაეწია, ცხადია ამით გზა ეხსნებოდა პირდაპირ მართველობისაკენ ხალხს, ე. ი. მუშას და წვრილ მწარმოებელთ. ამათი ბლოკი სოც.-დემ. მეთაურობით გახდა ქვეყნის პატრონი და მმართველი. ბურჟუაზიული დემოკრატია გაქრა. სახალხო დემოკრატია აღორძინდა და ის შეუდგა ნივთიერი ურთიერთობის თავის სახისამებრ აწყობას. იშვა ყველა საფუძველი სახალხო ეკონომიისა.

საბჭოთა რეჟიმის დაცემის შემდეგ, ქართველი ერის სოციალური სტრუქტურა რჩება იგივე, რაც იყო დამოუკიდებლობის დროს: ერთი მხრით, პროლეტარიატი ბოლშევიზმის მიერ ძალით გამრავლებული, მეორე მხრით წვრილი მწარმოებელნი, ბოლშევიზმის მიერ ძალზე გაყვლეფილნი, გაძარცვულნი, მაგრამ მაინც დამოუკიდებელ კლასათ დარჩენილი. გლეხობა დღეს გადაქცეულია სახელმწიფო კაპიტალის მოსამსახურე წოდებად. ამ რეჟიმის დაცემა მას დაუბრუნებს შრომის თავისუფლებას და წართმეულ საკუთრებას.

და იბადება საკითხი: განთავისუფლებული გლეხობა რანაირ საწარმოო ურთიერთობაში უნდა ჩაებას, რომ თავი დააღწიოს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო კაპიტალიზმის გაყვლეფისაგან. ამ მძიმე პრობლემას სწყვეტს სხვილი და წვრილი წარმოების ახალი, არაკაპიტალისტური ურთიერთობის შექმნა და ორივე დარგის თანასწორი უფლებით აღჭურვა. რა ნიადაგზე შეიძლება ეს?

წვრილი წარმოება იყო ყოველთვის, ყველა გავლილ ისტორიულ პერიოდში. ახალი მოვლენაა მხოლოდ სხვილი წარმოება, კაპიტალის დაგროვება, ამუშავება და გაბატონება. ამ ხანად ყოველგან არსებობს ეს ორგვარი წარმოება იმ განსხვავებით, რომ ზოგან სჭარბობს პირველი—აგრარულ ქვეყნებში, ზოგან კი მეორე—ბურჟუაზიულ ქვეყნებში, მაგრამ მთელი მეურნეობის და ეკონომიური საქმიანობის ბატონობა და მბრძანებლობა კი ყოველგან ეკუთვნის მეორეს, კაპიტალს და მის მიერ შექმნილ საფინანსო და საალებმიმცემო პირობებს. გლეხი იყვლიფება კაპიტალით ორი გზით: ბაზრით, მისი ნაშრომის იაფათ შეძენით და ძვირათ გაყიდვით და კრედიტით, ფულის მისესხებით და ამ საშუალებით მისი ნაოფლარის და ხშირათ მისი საკუთრების დაპატრონებით. ეს ასეა ყოველგან, ასეა ჩვენშიც, იმ განსხვავებით, რომ აქ ის ბარბაროსული რეჟიმის წყალობით კიდევ უფრო გამკაცრებული და გაძლიერებულია. მაშასადამე, ვინაიდან კაპიტალიზმის აუცილებელი ტენდენციაა დაარბიოს და დაიმორჩილოს წვრილი მესაკუთრე, ცხადია მისი განთავისუფლება შეუძლებელია იმავე ტენდენციის ნიადაგზე; აქ ისკვნება მისი ინტერესი პროლეტარიატის ინტერესებთან. ამ ორი კლასის საერთო ფრონტი, დამყარებული მათი ინტერესების მოთანხმებასა და შეკავშირებაზე, იძლევა პოლიტიკურ სფეროში სახალხო დემოკრატიას, ეკონომიურ სფეროში სახალხო ეკონომიას. ეს არ არის, რასაკვირველია, სოციალიზმი, ვინაიდან ამ ეკონომიკაში რჩება დაქირავებული შრომა და კაპიტალი, მხოლოდ მათი ურთიერთობა დგება სახალხო ინტერესების კალაპოტში, რაიცა შემდეგ, მსოფლიო ევოლიუციასთან ერთად, უმტკივნეულოდ გადავა სოციალისტურ ეკონომიკაში. პირველი მიუცილებელი გადამავალი საფეხურია მეორესაკენ. ამ გზაზე შედგა ქართველი დემოკრატია დამოუკიდებლობის ხანაში და ის ძალათ შესწყვიტა უხეშმა გარეშე შემოსევამ.

აქედან აშკარაა, საქართველოში უცხო ხიშტით დამყარებული პოლიტიკური და სოციალური წყობილება პირდაპირ ეწინააღმდეგება ქართველი ერის მთელ სოციალურ სტრუქტურას, მის შეგნებას, მის გზაკვალს. ეს საშინელი უმაგალითო წყობილება ღვიძლი შვილია რუსის ხალხის განვითარების, ძევს მის ისტორიულ გზაზე. თვითეული ერის აწმყო განსაზღვრულია მისი წარსულით, მის მიერ განვლილი გზებით, მისი საკუთარი შინაგანი განვითარებით და მსვლელობით. და ვინაიდან თვითეული ერი თავის ბედს თვითონვე სჭედს, თავის გზას თვითონ ირჩევს, ცხადია მისი ინდივიდუალობა ამით იჭედება და განკერძოვებული კულტურული ერთეული ხდება. აი ამ ისტორიულ ჭეშმარიტებაზე არის აგებული სოციალიზმის ძირითადი ნაციონალური პრინციპი: ერთა თვითგამორკვევა, ე. ი. ერის სვებედის გადაწყვეტა თვით ერის მიერ, ერის მიერ თავის თავის პატრონობა და ბატონობა. იმპერიალიზმი კი ნიშნავს პირიქით, ერთი ერის სვე-ბედის მეორე ერის მიერ გადაწყვეტას, ე. ი. მისი საკუთარი ისტორიული განვითარების, მისი წარსულის და აწმყოს მეორე ერისათვის ძალით თავზე მოხვევას, თავის კალაპოტში შეთრევას და გზა-კვალის აბნევას.

ჩვენი სვე-ბედის ომით და ძალმომრეობით მოსკოვის მიერ განსაზღვრამ, უცხო წყობის და უცხო კულტურის მისთვის თავზე მოხვევამ გადააგდო ქართველი ერი მისი საკუთარი ისტორიული გზიდან, დაატოვებია მის ეკონომიკასან, მის კულტურასან და ისტორიასან შეთანხმებული პოლიტიკური და ნივთიერი ურთიერთობა და გადაჩეხა უცხო ერის უცხო წყობილებაში.

მაშასადამე საბჭოთა მეურნეობა და ტირანია საქართველოში უმთავრესად ნაციონალური პრობლემაა. მისი მოვლინება გახდა შესაძლებელი ნაციონალური დამოუკიდებლობის მოსპობით. ამიტომ მისი აღდგენა ნიშნავს ამავე დროს ამ ტირანიის მოსპობასაც. ქართველი ერის განვითარების წინასწარი პირობის, მისი ეროვნული ემანსიპაციის აღდგენა არის მთავარი ამოცანა ქართველი ხალხის. ერის თავისუფლება თავისთავად არ ნიშნავს ხალხის თავისუფლებას, ტირანიის დასამარებას. რუსის ხალხი ეროვნულად თავისუფალია, მაგრამ პოლიტიკურათ, ეკონომიურათ და საზოგადოებრივათ მონობას განიცდის. მაშასადამე საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა, მისთვის ბრძოლა და თავის დადება ნიშნავს არა ერთი ტირანიიდან მეორეში ჩავარდნას, არამედ საზოგადოთ ყოველნაირი ტირანიის მოშლას და ერის და ხალხის სუვერენობის ერთად აღდგენას. საქართველოს განთავისუფლება ნიშნავს საქართველოს სახალხო დემოკრატიის აღდგენას, მისთვის მოსკოვის მიერ წართმეული ძალაუფლების დაბრუნებას.

ქართველი სოციალდემოკრატია იბრძვის რა ერის ნაციონალური ემანსიპაციისათვის, იბრძვის ამით და ამავე დროს ხალხის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ემანსიპაციისათვის.

ამ დიდი მიზნის უახლოესი მტრის, საბჭოთა ტირანიის დასაცემათ ის ხელს უწვდის ყველა დემოკრატიულ და პროგრესიულ ძალებს საბჭოთა იმპერიისა, რომელნიც კი იცნობენ საქართველოს დამოუკიდებლობას და ერთა თვითგამორკვევას. ამ ძალთა შორის პირველი ადგილი უჭირავს საბჭოთა კავშირის დაჩაგრულ ერებს, პირველ ყოვლისა ჩვენს მეზობლებს, რომლებთანაც გვაკავშირებს გარდა საერთო მტრისა, ტერიტორიალური, ეკონომიური, პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი ინტერესების ერთიგივეობა. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია მხარს დაუჭერს დაჩაგრულ ერთა სოციალისტური და დემოკრატიული ძალების შეკავშირებას და მათ მიმართავს მოსკოვის იმპერიალიზმის წინააღმდეგ, იქნება ეს იმპერიალიზმი ბოლშევიკური თუ ანტიბოლშევიკური, რომ მოიპოვოს ამ გზით ჩაგრულ ერთა თვითგამორკვევის და თვითბატონობის შესაძლებლობა.

საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტია, გამოდის რა ყველა ამ ძირითადი მოსაზრებებიდან, მოითხოვს შემდეგ ცვლილებებს:

I. ნაციონალურ სფეროში.

1. საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენა.
2. თავისუფალ საქართველოს დაკავშირება ასეთსავე თავისუფალ კავკასიის ერებთან და მათთან ერთად შექმნა ერთი კონფედერატიული კავშირის კავკასიის ეკონომიურ და სამხედრო ერთეულის საფუძველზე.
3. კეთილმეზობლური დამოკიდებულება ყველა დანარჩენ მეზობელ ერებთან და მათ შორის რუსის ხალხთან მათთან ხელშეკრულებების დადებით და ურთიერთის თავისუფლების და ინტერესთა სოლიდარობის ალიარებით.
4. საქართველოს საზღვრებში ნაციონალურ უმცირესობათა კულტურულ განვითარების უზრუნველყოფა მათთვის კულტურული ავტონომიის მინიჭებით თანახმად საქართველოს კონსტიტუციისა (მუხლი 130).
5. აღდგენა ავტონომიური მმართველობისა აფხაზეთის, სამუსულმანო საქართველოსი (ბათუმის მხარე) და ზაქათალის ოლქისა, უკეთუ ეს უკანასკნელი დაუბრუნდება საქართველოს დაინტერესებულ მხარეთა მიღებული წესით (არბიტრაჟი).
6. პარტია მოითხოვს ნაციის სუვერენობა იქნას შეთავსებული საერთაშორისო მშვიდობიანობის, ეკონომიური დაახლოვების, საბაჟო ბარიერების მოსპობის ან მინიმუმამდე დაყვანის, საზოგადოთ თავისუფალ ერთა ერთი მთლიანი საერთო ფედერატიული სისტემის პოლიტიკასან.

II. პოლიტიკურ სფეროში.

7. სახალხო დემოკრატიული რესპუბიკა.
8. საყოველთაო პირდაპირი, თანასწორი და ფარული საარჩევნო უფლება ორივე სქესის მოქალაქეებისათვის დაწყებული ოცი წლის ასაკიდან ყველა სახელმწიფო, სათემო, საერობო ორგანოებში.
9. თავისუფლება სიტყვის, წერის, ბეჭვდის, კრების და კავშირების.
10. სახალხო რეფერენდუმის და საკანონმდებლო ინიციატივის შემოღება.
11. ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფა.
12. სინდისის და სარწმუნოების თავისუფლება.
13. ხალხის საყოველთაო შეიარაღება რესპუბლიკის თავდაცვის მიზნით.
14. საზოგადოთ აღდგენა საქართველოს კონსტიტუციის ყველა პოლიტიკურ დადგენილებებისა.

III. შრომის სფეროში.

15. შრომა არის საფუძველი რესპუბლიკის არსებობისა და მისი დაცვა პარტიის მთავარი მიზანია; ამ მიზნით ის ითხოვს:
16. შრომის თავისუფლება.
17. არა უმეტეს რვა საათის სამუშაო დღისა.
18. მინიმუმი ხელფასის დაწესება წარმოების და ალებ მიცემობის ყველა დარგში.
19. გაფიცვის თავისუფლება.
20. მუშათა სინდიკატები.
21. შრომის ბირჟა.
22. დაქირავებულთა ყოველწლიური შვებულება ჯამაგირის შენახვით.
23. დაქირავებულთა სოციალური დაზღვევა დასახიჩრების, სიბერის, უმუშევრობის და ავადმყოფობისაგან.
24. დაარსება სატარიფო პალატის, რომლის წევრთა ნახევარი უნდა იყვენ მუშათა სინდიკატების წარმომადგენელნი.
25. სამრეწველო და საალებ-მიცემოს დარგში დამყარება სანიტარული წესების მუშათა სინდიკატების მონაწილეობით და თანხმობით.
26. პატრონთათვის აკრძალვა მუშების დაჯარიმების და ხელფასის მთელის ან ნაწილის დაჭერა.
27. შრომის ინსპექტორთა ინსტიტუტი სინდიკატების მონაწილეობით.
28. მშობიარობის მფარველობა, მუშა ქალთათვის შვებულების მიცემა ერთი თვის მშობიარეობის წინ, თვენახევრის მშობიარეობის შემდეგ ხელფასის შენახვით.
29. აკრძალვა 16 წლის ნაკლების ბავშვის დაქირავების.
30. ბავშთა მფარველობის მოწყობა: საწარმოო დაწესებულებებთან მუშათა ჩვილი ბავშვებისთვის აკვნის დადგმით და სხვა.

IV. სოციალურ სფეროში.

პარტია მოითხოვს:

31. საბჭოთა სახელმწიფო ქონების ექსპროპრიაციას ხალხის მიერ.
32. ჩამორთმეულ ქონებიდან წვრილ წარმოების და საკუთრების დაბრუნებას იმათთვის, ვისაც ის ჩამოერთვა, ხოლო მსხვილი წარმოების და საკუთრების დატოვებას თავის ხელში, როგორც ბაზას სახალხო სოციალური ეკონომიის ასაგებად.
33. სახალხო ეკონომიის ორგანიზაციული ფორმებია: სახელმწიფო, სათემო, საერობო, კოოპერატიული, საამხანაგო და სხვა. ამ ფორმებში მოწყობა სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, სავაჭრო და საკრედიტო დარგების. თვითეული ამ დარგის დაწყობილებათა კავშირი და მათი დაგვირგვინება კავშირთა კავშირით.
34. სახელმწიფო, სათემო და საერობო ეკონომიური დარგები ეწყობა სრულიად დამოუკიდებლათ მათი იძულებითი აპარატისაგან და მუშაობენ თავისი საკუთარი წესებით ისინი თავის გამართლებას პოულობენ ეკონომიურ საქმიანობაში და ვერასოდეს ვერ დააწვება ტვირთად მართველობის ბიუჯეტს. გამონაკლისს განსაზღვრავს კანონი.
35. ნებაყოფლობითი შეკავშირება კერძო მწარმოებელთა, სოფლის მეურნეთა და ვაჭართა და მათი შეყვანა საერთო სოციალური ეკონომიის ქსელში.
36. ყველა საკრედიტო დაწესებულება მუშაობს სახელმწიფოს კონტროლით, ყველა კერძო ბანკი ვალდებულია შევიდენ საერთო ეკონომიურ ქსელში და დაემორჩილონ მის წესებს.
37. კერძო მწარმოებელნი თავისივე ნებით დარჩენილი ამ ქსელის გარეთ არ სარგებლობენ სოციალურ ეკონომიასან დაკავშირებული შეღავათებით, მაგრამ იმყოფებიან საერთო კანონების [illegible]ბაში და მუშაობენ მათ ფარგალში.
38. უცხო კაპიტალის შემოსვლა და მუშაობა ხდება განსაკუთრებული წესებით, სახელმწიფოს მონაწილეობით და ზედამხედველობით.
39. წვრილ მესაკუთრეთა და მწარმოებელთა მფარველობა მათთვის კრედიტის მიცემით, ბაზრის მოპოვებით, სამუშაო მანქანების თხოვებით და სხ. ამ მიზნით დაარსება მათი შესაფერი ამხანაგობების და კავშირების და მათი ამ გზით დაკავშირება სოციალური ეკონომიის ქსელთან.
40. მთელი სოციალური სახალხო ეკონომია წარმოადგენს ერთ მთლიან ორგანიზაციულ სისტემას, სრულიად დამოუკიდებელს სახელმწიფო პოლიტიკურ სისტემისაგან, მის გვერდით და მის საერთო ფარგალში მომუშავე. სახელმწიფოს თუ სათემო იძულებითი აპარატები არ ერევიან მის მუშაობაში, უწევენ რა მას კანონით განსაზღვრულ საერთო მფარველობას. სახელმწიფო ასრულებს მის მიმართ დარაჯის როლს.
41. წვრილი მიწადმფლობელობის განსაზოგადოვება და მიწის საამხანაგოთ დამუშავება ხდება ნებაყოფლობით ყველა მონაწილეთა ერთსულოვანი დადგენილებით.
42. ვაჭრობა და ალებ-მიცემობა ხდება თავისუფლათ ფასების შეჯიბრების ნიადაგზე, გამონაკლისს საზღვრავს კანონი.
43. სოციალურ ეკონომიის დარგთა და მათი მუშა მოსამსახურეთა ურთიერთობა ეწყობა კერძო უფლების ნიადაგზე.
44. მიწა არის ბაზა საქართველოს ხალხის მოსახლეობის და ის უნდა იქნეს დაცული კანონით. ამიტომ სოფლის მიწაზე თავისუფალი ვაჭრობა შეზღუდულია იმ წესით, რომ უპირატესობა გასაყიდ მიწის შეყიდვაში ენიჭება თემს, ერობას, სახელმწიფოს ან და შესაფერ სოციალურ ეკონომიის კავშირს არსებულ მაზანდაში.
45. ამ წესით შეძენილი მიწა იხმარება შემყიდველის მიერ და თუ ეს მას არ ესაჭიროება, ის გადაეცემა უმიწაწყლო ან მცირე მიწის პატრონ გლეხს გრძელვადიანი სესხით.
46. სამყოფი სახლი და მისთვის მიუცილებელი ეზო არას შემთხვევაში არ გაიყიდება.
47. მემკვიდრეობა თავისუფალია იმ შეკვეცით, რომ მიწის მესაკუთრეს არ აქვს უფლება დასტოვოს უმიწოთ და უსახლკაროთ თავისი ვაჟი და გაუთხოვარი ქალი.
48. მიწა დაუმუშავებლათ დატოვებული თანასთან რამდენიმე წელს ჩამოერთმევა მეპატრონეს და გადაეცემა თემს.

V. თემი.

49. სახელმწიფო შესდგება თემთა კრებულისაგან და ეყრდნობა თემს.
50. თემია ორნაირი: ქალაქის და სოფლის.
51. თემის მართველობა არის თემის საბჭო, საბჭოს მიერ არჩეული გამგეობა და თემის თავი. საბჭო ირჩევა მცხოვრებთა მიერ იმ წესით, როგორითაც პარლამენტი.
52. თემთა კავშირი საერთო საქმეებისათვის არის ერობა.
53. თემის და ერობის კომპეტენციაა: განაგოს მთელი ადგილობრივი საქმეები,—პოლიცია, სწავლა-განათლება, ჰიგიენა, გზები, სავაჭრო, სამეურნეო და სამრეწველო წარმოებანი, სათემო მამულების მოვლა და დამუშავება, სასამართლო და სხვა. მათ აქვთ უფლება საკუთარი ბიუჯეტის და სავალდებულო დადგენილებების.
54. თემი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს მხოლოდ კანონით. ის არის მთავრობის ადგილობრივი აღმასრულებელი ორგანო და ასრულებს ყველა მის კანონიერ ბრძანებას.
55. თემის (თუ ერობის) დადგენილებათა შეჩერება შეუძლია მთავრობას, ხოლო გაუქმება კი სასამართლოს, რომელსაც ის მაშინვე უნდა გადაეცეს განსახილველად.

VI. კულტურული ზრუნვა.

56. სავალდებულოა პირველ-დაწყებითი განათლება.
57. უფასო სწავლა საშუალო სასწავლებლებში.
58. ერთი მთლიანი სასკოლო სისტემა.
59. საბავშვო ბაღები.
60. პირველ-დაწყებითი სწავლის გასაგრძელებელი სკოლები სპეციალური დარგის შესასწავლად და სალამოს კურსები.
61. მოზრდილთა სწავლება. გახსნა სალამოს კურსების განათლების ყველა დარგის, როგორც სპეციალური, ისე საზოგადოს შესასწავლად.
62. სკოლის გარეთ განათლება. დახსნა ბიბლიოტეკების, სამკითხველოების, თეატრების; მოხსენებები, კინო და რადიო, გიმნასტიკა და თამაში, კონცერტები და სხვა.
63. სკოლათა საექიმო კონტროლი, საზაფხულო დასვენება, სწავლა წმიდა ჰაერზე, ბავშვთა ექსკურსიები და სხვა.

VII. საზოგადო ჰიგიენა.

64. ბრძოლა მალარიასთან და ტუბერკულიოზთან.
65. ბრძოლა ვენერიულ სენთან, განსაკუთრებით სიფილისთან.
66. იაფი და ჰიგიენური სადგომების აგება.
67. აკრძალვა სარდაფებში და ნესტიან სადგომებში ადამიანთა ცხოვრების.
68. წყალსადენები, კანალიზაცია, საგიმნასტიკო და სათამაშო მოედნები, აბანოები და საცურავი ხელოვნური ტბები, ბაღები, საავათმყოფოები, სანატორიუმები, შეუძლო ავადმყოფთათვის მუქთად აქიმობა, მუქთად წამლობა და სხვა.

◆◆◆

„ბრძოლის ხმის“ ექსპედიციისაგან

ხელის მომწერთ ვთხოვთ გაზეთის ყველა ანგარიშები პირველ იანვრისათვის გასწორონ.

«ბრძოლის ხმის» გამოწერა შეიძლება
ამხ. პ. სარჯველაძესთან შემდეგი მისამართით:
M-r P. Sardjveladze
9, rue Seguier 9. Paris (6)

Arpajon— Imprimerie de *La Gazettede Seine-et-Oise*.

Le Gérant : René Toussaint.